

სიმონ კილაძე - ავტობიოგრაფია და ბიოგრაფია

/პირველი ნაწილი/

საკვანძო სიტყვები: *სიმონ კილაძე, ფოტოგრაფია, რადიოზესა, ტაშკენტი, გრუძონცი, ბოჟენა, ГУИАГ, რადიოზესა, ალდანი, კოლიმა, ფოტოკლუბი „საქართველო“, ტელეჟურნალი.*

მოცემული კვლევა, ვარდა იმისა, რომ ორიგინალურ და აქამდე უცნობ ვიზუალურ მასალებს ეყრდნობა, მრავალი წლის ფიქრისა და ანალიზის შედეგად დაგროვილი აზრების ერთობლიობაა, რომელიც მოიცავს ისტორიულ, მხატვრულ და სხვა სახის მოტივებს.

კვლევა, გარკვეული დაშვებით, აგრეთვე შეიძლება განხილული იქნას, როგორც სცენარის საფუძველი მრავალნაწილიანი კვლევითი დოკუმენტური ფილმისათვის, რომელიც აჩვენებს XX საუკუნის სსრკ-ის სახეს, ასახულს კონკრეტული ადამიანის ბიოგრაფიაზე.

სიმონ კილაძე ბოლოს 1997 წლის შემოდგომაზე ენახე, მის ბინაში კეკელიძის ქუჩაზე. მის სახლში შესვლისთანავე თუ რამე იგრძნობოდა, ინტელიგენტურობა იყო - ხელით შეხებად რეალური, კედლებში გამჯდარი, მასპინძლის და ყველა ნივთის ერთობლიობიდან გადმომდინარე: იქნებოდა ეს რამდენიმე კლავიშაშლილი გრძელი საკონცერტო როიალი, თუ სავარძელზე გადაფარებული თხელი ორნამენტებიანი ფარდავი, ფაიფურის თოჯინები კომოდის შუშის თაროებზე, საწოლი ოთახის ფინური არყის ხის (Финская Берёза) გარნიტური (70-იანი წლების ჰიტი)... და ბიბლიოთეკა. მისი მეუღლე თინა ლეჟავა - ენციკლოპედიის გამომცემლობაში მუშაობდა და ბოლო ხანებში ქართული ენციკლოპედიის ერთ-ერთი რედაქტორი იყო. ამ წყვილს საკუთარი შვილი არ ჰყავდა და ცხოვრობდნენ ასე ჩუმად, მოკრძალებულად, ინტელიგენტურად.

სიმონ კილაძემ მეუღლე ცოტა ხნით ადრე დააარგა და ბოდიშის მოსახდელად მივედი, რომ დაკრძალვას ვერ ჩამოვედი - კინოექსპედიციაში ვიყავი, „ნუცას სკოლას“ ვიღებდით კასპის ახალქალაქში... ცოტას ვავანდობდი-მეოთხეტი ბავშვით - ჩემი მეუღლე და 5 წლის შვილიც თან წავიყვანე;

როგორც ყოველთვის, თავისი ღიმილით შეგვეგება, როგორც ყოველთვის - გულიანად და როგორც ყოველთვის - რალაც მოგვართვა - მსუბუქი, ნაზი და უპრეტენზიო. წამოსვლის წინ ცელოფნის პარკით გადმომცა თავისი არქივის მცირე ნაწილი და მისთვის ჩვეული ინტელიგენტური მოკრძალებით მითხრა - „შენთან იყოს, გადახედე; როცა საჭიროდ ჩათვლი, მოვიფიქროთ, რა გუყვით“... გულზე გამკრა და სართულის ბაქანზე გამოვედი თუ არა, უკან მოვიხედე. სიმონ კილაძე ბინის კარში იდგა, როგორც ყოველთვის, მსუბუქად მომღიძარა. რალაცნაირი რბილი ღიმილი ჰქონდა, უხაროდა თუ სევდიანობდა, სულ იღიმებოდა, მხოლოდ თვალებზე თუ შეატყობდი - მართლა უხაროდა თუ პირიქით. ახლაც, განუმორებელი, ცვლადი დაბინდვის „ქამელეონის“ ლინზებიანი სათვალით სახეზე, იღიმებოდა, ხელში რუხი ლაქებით დაზოლოდი ჟღალი კატა ეჭირა და ეფერებოდა. ეს კატა, თინა რომ დაგასაფლავეთ, იმ დღეს მოვიდა ჩემთან და დარჩაო, - მითხრა.

ცხადად შევივრძენი, რომ ბოლოჯერ ვხედავდი, თუმცა, როგორც ვიცოდი, არაფერი ორგანული არ აწუხებდა.

მომდევნო - 1998 წლის 6 თებერვალს გარდაიცვალა. საქართველოს ფოტოგრაფიულმა სამყარომ ეს ამბავი დიდი გულსტკივილით აღიქვა, რაკილა ამ საზოგადოებამ ზუსტად იცოდა, თუ რა პიროვნება იყო 81 წლის მსცოვანი კაცი, რომელსაც ქართული საზოგადოება უმაღლესი კლასის ფოტორეპორტიორად იცნობდა... ჩემი აზრით, თამამად შეიძლება ითქვას, რომ სიმონ კილაძის სიცოცხლესთან ერთად დასრულდა საბჭოთა პერიოდის ქართული ფოტოჟურნალისტიკის მნიშვნელოვანი ეპოქა.

საზოგადოების დიდი ნაწილისთვის ის „მხოლოდ“ ფოტორეპორტიორი იყო - პრესაში ხშირად რომ იბეჭდებოდა - გამორჩეულად ხშირად.

უფრო შეზღუდული წრისთვის - ის იყო პროფესიული ფოტოკლუბის „საქართველო“ დამაარსებელი, რომელმაც ქართული ფოტოხელოვნება საერთაშორისო კლასის ეროვნულ მოვლენად აქცია.

ფოტოსამყაროსთვის - შესანიშნავი პორტრეტისტი, გამორჩეულად გემოვნებიანი ე.წ. „ჟანრული“ ხასიათის და ექსპერიმენტული ფოტოკოლაჟების დიდოსტატი; „მაესტრო“ - როგორც მას პატივისცემით უწოდებდნენ კოლეგები - ასაკის მიუხედავად;

კიდევ უფრო ახლობლებისათვის, - მწერალი, დრამატურგი და მსახიობიც კი(!).

და ყველასათვის - თბილი, თავმდაბალი, უსაზღვროდ კეთილმოსურნე, კოლეგებისთვის დაუნარელი კონსულტანტი და დამხმარე, ერთგული მეუღლე და სანიმუშო მოქალაქე.

მხოლოდ მასთან ძალიან დაახლოებულმა ადამიანებმა იცოდნენ, თუ რა რთული, მძიმე და მრავალფეროვანი მოვლენებით სავსე გზა ერგო წილად, ამქვეყნიური ცხოვრების განმავლობაში - მე-20 საუკუნის დასაწყისიდან დასასრულამდე - 1916-1998 წლებში. სიმონ კილაძე, პრაქტიკულად, საბჭოთა კავშირის თანატოლი იყო, რომელიც მოესწრო ამ სახელმწიფოს დაბადება-შექმნას, მის აღზევებას და დამლას - მძლავრი, მკაცრი და წინააღმდეგობებით სავსე ქვეყნისას, რომელმაც პირადად სიმონ კილაძისთვის არ დაიმურა მისთვის ჩვეული სისასტიკე და დაუნდობლად დაატეხა თავს უამრავი განსაცდელი, ფიზიკური და სულიერი გამოცდა, რომელიც მან, როგორც რიგითმა მოქალაქემ, გასაოცარი სიმტკიცითა და ადამიანური გამძლეობით გადაიტანა...

არ ვაბოროტებულა, პირიქით, სამყაროს სიკეთის დანახვა და ამ სიკეთის სხვებისთვის ჩვენება გაინადა ცხოვრების მიზნად და პროფესიად... ჩუმი, უპრეტენზიო და სავსე შემოქმედებითი ცხოვრებით იცხოვრა საუკუნის ოთხი მეხუთედი... და ასევე ჩუმი და უპრეტენზიოდ წავიდა ამ ქვეყნიდან.



იური მეჩითოვის არქივიდან.

ბოლო წლებში პერსონალური გამოფენა მოაწყო. გამოფენა ის ფოტოები, რომლებიც საუკეთესოდ მიაჩნდა. მათ საგამოფენოდ გადარჩევას პირადად ვესწრებოდი (ეს პროცესი გადაღებულია ვიდეოფორზე, რომელიც ჩემს პირად არქივში ინახება). ამ ჩანაწერში, სიმონ კილაძე, კამერის წინ თავადვე წარგვიდგენს საკუთარ ნამუშევრებს, როგორც ხელოვნებათმცოდნე, თან კრიტიკოსი. თავის ფოტოსურათებს ის ობიექტურად ახასიათებს, არ ერიდება შედარებებს და მკაცრ შეფასებებს. ამის შემდეგ ის დიდხანს და დაფიქრებით საუბრობს ფოტოგრაფიის იმდროინდელი მდგომარეობის შესახებ საქართველოში.

ამ გამოფენისდროინდელი მისი რამდენიმე ფოტო არსებობს: ასეთი იყო მაშინ სიმონ კილაძე. თვით ამ უნიკალური ფოტოსურათების ავტორი იური მეჩითოვია - ადამიანი, რომელიც არამარტო იცნობდა და პატივს სცემდა უფროს კოლეგას, არამედ მეგობრობდა კიდევ და მისი დამსახურებაცაა, რომ სიმონ კილაძის ფოტოების ასლებია შემორჩენილი.



საჯარო ბიბლიოთეკაში - გაზეთებიდან და ჟურნალებიდან შეიძლება მისი ნამუშევრების ამოკრება. ამ ფოტოებზე, რომელთა დიდი ნაწილიც პროპაგანდისტული დანიშნულების საინფორმაციო სიუჟეტებია, ნაჩვენებია „სოციალისტური სამშობლოს აღმშენებლობის“, კულტურული მოვლენებისა და სპორტული მიღწევების სურათები და საინფორმაციო სიუჟეტები.

მაგრამ ამგვარი პროპაგანდის მიღმა არსებობს სულ სხვა სიმონ კილაძე - თბილი, ჰუმანური, ირონიული და ემოციური ფოტომხატვარი, რომლის ობიექტივმაც მრავალი უნიკალური პიროვნების პორტრეტი, გრაფიკული თუ ფერადი ფოტომხატვრობის ნიმუში და კოლაჟი შექმნა.

სახელმწიფო არქივში სულ რამდენიმე ფოტოა დაცული, ისიც რეპროდუქციები; აი ეს ნიმუშები:




ეს ის ფოტოებია, რომლებსაც სხვადასხვა გამოფენაზე არაერთი ჯილდო და პრიზი აქვთ მოპოვებული.




უფრო სწორად - ნაწილია იმ ფოტოების, ძალიან მცირე ნაწილი.

მოცემული კვლევის მიზანია მოვიძიოთ, თავი მოვუყაროთ და მკითხველს გავაცნოთ სიმონ კილაძის ცხოვრებისა და შემოქმედების სწორედ ის მხარე, რომელიც თვით



მისი თანამედროვე ფართო საზოგადოებისათვის ნაკლებად ცნობილი. ეს ნამდვილად ღირებული და მნიშვნელოვანი საქმეა თუნდაც მხოლოდ იმის კიდევ ერთხელ გასაანერგვად, თუ რა ქვეყანა იყო „დედამიწის ერთ მეექვსედზე გადაჭიმული, პროლეტარებისა და გლეხების“ იმპერია, რომელსაც მავანი დღემდე მისტირის, ზოგი კი პირიქით - კომპარად მოიხსენიებს... სიმონ კილაძემ, ამ ქვეყნის და მისი ხალხის ალბათ ყველა „მწარე და ტუბილი“ მწარე გამოსცადა: როგორც თვით სახელმწიფო მანქანის დაუნდობლობა, ისე სხვადასხვა რივით ადამიანთა სიკეთე და ურთიერთგაგება, „თაფლაკვერი და მათრახი“ - რაც მის ნამუშევრებში უხვადაა გაბნეული... ის ამ მოვლენების აფიშირებას არ ეწეოდა, თუმცა არც მალავდა და შესანიშნავად აღწერა კიდევ ავტობიოგრაფიულ ტელე-რადიო პიესაში (როგორც თავად უწოდებს) „რეპორტიორის ბედი“, და რომანში „შეხვედრა ნიაგარაზე“.



ცნობები, პიესა და წიგნი

სიმონ კილაძის ბიოგრაფიის დეტალები, სავარაუდოდ, გაბნეულია უამრავ სხვადასხვა დანიშნულების არქივში, რომლებიც დღემდე არაა საბოლოოდ გასაჯაროებული, ისეთები, როგორებიცაა მაგალითად (ვიმეორებ, დიდი ალბათობით), საბჭოთა კავშირის უშიშროების 1930-იანი წლების არქივიდან დაწყებული, 1980-იანი წლებით დამთავრებული; ГУМБის არქივები, ანდა ომისშემდგომი (იგულისხმება 1941-45 წლების გერმანია-სსრკ ომი) საბჭოთა საოკუპაციო ჯარების უშიშროების საბუთები და სხვა წყაროები, რომლებიც შეიძლება ამ კვლევისას თავად აღმოჩნდეს კვლევის საგანი.

სავარაუდოდ სიმონ კილაძე, დაბადებამდე უნდა იყოს მოხვედრილი ამ საბუთებში, 1916 წლიდან მაინც, როცა მამამისი - დავით კილაძე - რევოლუციური საქმიანობისთვის იყო გადასახლებული და იქ დაქორწინდა. აუცილებლად უნდა არსებობდეს საარქივო საბუთები მისი ცნობების შესახებ 1930-იან წლებში, როცა დავით კილაძე თბილისიდან მოსკოვში გადაუყვანიათ სამუშაოდ; ეს ცნობები, ალბათ, თბილისის, მოსკოვისა და ტაშკენტის როგორც სამოქალაქო, ისე უშიშროების არქივებშია საძიებელი; თბილისში, ბავშვობაში, მაშინდელი ყორღანოვის ქუჩაზე (დღეს - ლეო ქიაჩელის ქუჩა) სამთავრობო სახლში უცხოურია, როგორც პიესაში ამბობს.

საინტერესოა იმ პერიოდის მოსკოვის უმაღლესი სასწავლებლების სტუდენტთა სიებიც (კერძოდ - „გაზეთ „პრაგმის“ სახელობის ჟურნალისტიკის კომუნისტური ინსტიტუტის“ დოკუმენტები) და ა.შ., მაგრამ ამ ეტაპზე ჩვენ უნდა დავაკმაყოფილოდეთ იმ ირიბი ცნობებით, რომლებიც - ჩართული ფრაზების სახით - გაბნეულია მის ავტობიოგრაფიულ რადიოპიესაში „რეპორტიორის ბიოგრაფიიდან“. ეს რადიოპიესა, რომლის ჩანაწერიც საქართველოს რადიოს თეატრალური დადგმების რედაქციის არქივში ინახება ძირითადად, აღწერს სიმონ კილაძის 1946-1961 წლების ცხოვრებას (თუმცა არსებობს ამ ნაწარმოების მეორე - ლიტერატურული ვარიანტიც, რომელიც გრძელდება 1980-იან წლებამდე). ეს პიესა ავტობიოგრაფიულია, **იმდენად** სახიერადაა წარმოჩენილი მნიშვნელოვანი დეტალები, რომ ის შეიძლება განვიხილოთ როგორც ინფორმაციის უტყუარი წყარო; მით უმეტეს, რომ მასში აღწერილი მოვლენები გადმოცემულია ლამის ნატურალიზმამდე მისული დეტალურობით, კონკრეტული გვარებით, გეოგრაფიული ლოკაციებით, თარიღებით და თვით სენსონების ზუსტი ქრონოლოგიით.

ია მესხის სტატიაში „კამერით და კამერის გარეშე“ სიმონ კილაძის ბიოგრაფიის იმ მომენტებს ვეცნობით, რომლებზეც პიესაში არაა პირდაპირი საუბარი, თუმცა სხვადასხვა მინიშნება ირიბადაა გაბნეული და იძებნება. კერძოდ:

„სიმონ კილაძე დაიბადა 1916 წელს, რუსეთის პროვინციულ ქალაქ კანსკში, სადაც მამისი - დავით კილაძე - რევოლუციური საქმიანობისთვის იყო გადასახლებული,

იმ ინფორმაციით, რომელიც დავით კილაძეზეა, იგი ფოთში პორტის მუშა ყოფილა. რევოლუციური მოღვაწეობისთვის გადასახლეს ციმბირში, ტომსკის ოლქის ტობოლსკის გამგეობაში (თარიღი არაა მინიშნებული). აქ იგი დაქორწინდა იქაურ მღვდლის ქალიშვილზე, რომელსაც ყაზანის უნივერსიტეტი ჰქონია დამთავრებული, და სიმონი შეეძინათ (დედის სახელიც აგრეთვე დასადგენია). რევოლუციის შემდეგ ოჯახი საქართველოში ჩამოვიდა. სიმონს დაც ჰყოლია - სახელად ოლგა (პიესაში - ლეილა). 1928 წელს სიმონის დედა ტუბერკულოზით გარდაიცვალა, მამა მოსკოვში გადაიყვანეს, უშიშროების კომიტეტში სამუშაოდ. თვით სიმონი მოსკოვის „გაზეთ „პრაგმის“ სახელობის ჟურნალისტიკის კომუნისტურ ინსტიტუტში“ ჩარიცხულა 1935 წელს.

1937 წელს დავით კილაძე - როგორც ამიერკავკასიის ფედერაციული რესპუბლიკის НКВД-ს თავმჯდომარე - დააპატიმრეს და დახვრიტეს, სიმონი (და ალბათ ოლგაც) ბინიდან გამოასახლეს (მოსკოვის ბინის მისამართს პიესაში ასახელებს), უნივერსიტეტიდან გარიცხეს და უზბეკეთში გადაასახლეს. არის ინფორმაცია, რომ იქ იგი კომპაგშირულ გაზეთში („Комсомолец Узбекистана“) მიუგლინებიათ, თუმცა ჩვენ მიერ გაგზავნილ შეკითხვაზე მისი მუშაობის შესახებ უზბეკეთიდან დადებითი პასუხი ვერ მივიღეთ“.¹

მანამდე - მოსკოვში - მეორე ტროიციკის შესახებში უცხოვრიათ - სამოტეკაზე, როგორც თავად წერს.

მერე კი გადაუსახლებიათ ტაშკენტში.

სიმონ კილაძის ტაშკენტში ცხოვრების პერიოდზე ვერაფერი მოვიძიეთ. რამდენიმე წლის წინ, როდესაც დოკუმენტური ფილმის სცენარზე ვმუშაობდი, მივწერე უზბეკეთის სახელმწიფო არქივს რომ დამხმარებოდნენ მასალების მოძებნაში.

¹ Мешхи И. В камере и с камерой // Боль и память / сост.: Б. С. Бурков, В. А. Мьякушков. – М.: Республика, 1993. – С. 222–237. (<https://vgulage.name/books/kiladze-s-d-avtor-meshi-i-v-kamere-i-s-kameroj/>) / <https://vgulage.name/authors/kiladze-semen/>



მე-2 ტროიცკის შესახვევი.

სამწუხაროდ, პასუხი, რომელიც უზბეკეთის საგარეო საქმეთა სამინისტროდან მივიღე, მხოლოდ ზრდილობიან უარს შეიცავდა ამ მასალების შესახებ. ამიტომ იძულებული ვარ, ისევ ირიბ ცნობებს დავყვარდნო.

ამ ირიბი ცნობების მიხედვით, 1941 წელს სიმონ კილაძე მოხალისედ წასულა ფრონტზე, მაშინდელი პირობების გამო, დაუძალავს მამის „მავნებლობაც“ და ისიც, რომ ამის გამო კომპაგშირიდან იყო გარიცხული. ამავე მიზეზთა გამო კომუნისტურ პარტიაში შესვლაზეც რამდენჯერმე უთქვამს უარი, როდესაც ეს შესთავაზეს, როგორც ჯილდო საფრონტო დამსახურებებისთვის... თმის განმავლობაში მრავალ ბრძოლაში მიუღია მონაწილეობა, რამდენჯერმე დაჭრილა, კონტუზიაც მიუღია და საბოლოოდ, კაპიტნის წოდებამდე დაწინაურებულა. როგორც მისი ნაწერებიდან ირუკვება, ამ პერიოდში შეხვედრილ ადამიანებს, მნიშვნელოვანი როლი უთამაშიათ მის შემდგომ ცხოვრებაში.



სიმონ კილაძე,
იური მეჩითოვის არქივიდან

„ომი დამთავრდა - მშვიდობის გემინოდეთ, ხალხო...“

(ბერტოლტ ბრესტი, „კავკასიური ცარცის წრე“)

ბრესტისეული ეს ფრაზა ზედგამოჭრილია სიმონ კილაძის ომისშემდგომი ათწლეულის ცხოვრების დასახასიათებლად, რადგან სწორედ მეორე მსოფლიო ომის დასრულების შემდეგ იწყება მისი „მოგზაურობა ჯოჯოხეთში“.

1946 წელს სიმონ კილაძის სამხედრო ნაწილი განთავსებულია პოლონეთის ქალაქ გრუძონცში. სწორედ ამ დროიდან იწყება ის მოვლენები, რომლებიც ქრონოლოგიურადაა აღწერილი ტელე-რადიოპიესაში „რეპორტიორის ბედი“. ამ პიესის თანახმად, ამბავი შემდეგნაირად ვითარდება: მთავარმა გმირმა, ანუ სიმონ კილაძემ (პიესაში - რამაზ ენუქიძის სახელითაა) გაიცნო პოლონელი გოგონა, ბოჟენა ჩერვინსკა (მას პიესაში ჰელენას სახელით მოიხსენიებს), რომელიც შეუყვარდა და ცოლად შეირთო.

შეეძინათ ვაჟიშვილი.

შვილის დაბადებდან მე-3 დღეს კაპიტანი სიმონ კილაძე საბჭოთა უშიშროებამ დააპატიმრა: აღმოჩნდა, რომ ბოჟენას დეიდა და მისი ქმარი ოკუპირებული გერმანიის დასავლეთ ზონაში მოხვედრილიყვნენ და ბოჟენას და სიმონსაც იქით ეპატიჟებოდნენ... პიესის მიხედვით, სიმონი დაამანტაჟეს ცოლ-შვილის სიცოცხლის ხელყოფის საფრთხით და ისიც იძულებული გახდა - „სამშობლოს ღალატი ეღიარებინა“.

გამოძიებამ სიმონს მამის „მავნებლობაც“ ამოუქეჩა, ტრიბუნალმა კი 10 წელი მიუსაჯა და გაისტუმრა ვულავის არქიპელაგზე „სამოგზაუროდ“...

გადასახლება

როგორც პიესის ტექსტიდან ირკვევა, გადასახლების პერიოდში სიმონ კილაძე რამდენიმე სხვადასხვა ადგილას მოხედრილა. პირველად იაკუტიაში აღმოჩნდა - ალდანის ოქროს მაღაროებზე.

აქვე შედგა მისი პირველი შეხვედრა გადასახლებულთა ბანაკის რეალობასთან.

ბანაკის ცხოვრების პირველივე გამოცდილება ერთობ მკაცრი და დაუნდობელი აღმოჩნდა. ეს სცენა ძალზე ხატოვნად აქვს აღწერილი რადიოპიესაში. ნამდვილად ღირს პიესის ამ მონაკვეთის შეუმოკლებლად მოტანა:

(რუსულიდან თარგმნა დ. ვუჯაბიძემ)

მონაკვეთი რადიოპიესიდან:

ბანაკი ალდანში.

ადრიაანი დილა. ნაღვლიანი მელოდია. ზმუის ქარბუქი. ალელგებული ხმები ბარაკში.

პირველი ხმა: - რა ხმაურია, ჩხუბი კი არაა? რა ხდება?

მეორე ხმა: - ვინ მორიგეობდა ღამით? ისევ მოუპარავთ პურის ორი ულუფა (პაიოგი).

მორიგე (*дневальный*): - აქ ვინმეს ჩაავლებ? ორმოცი ყბაა, მე კი ერთი ვარ!

პირველი ხმა: - არ უნდა დაგეძინა, ნაგავო!

მეორე ხმა: - ასეთი მორიგე უნდა ცემო, უმაქნისი!

მორიგე (*дневальный*): - სხვა დააყენეთ, ვინც ვინდათ. მე მეყო! დღისითაც და ღამითაც უნდა ვიფხიზლო, არა?.. თქვენ კიდევ, საკუთარ „პაიოკებს“ თვითონ მიხედეთ!

ხმა: - სწორია! ამ ტრაწიანებს ეგრე ეკუთვნით! სხვებივით დროულად ჭამონ თავიანთი „პაიოვი“ და შიშველი ქალივით კი ნუ უყურებენ.

პირველი ხმა: - ეგ რა შენი საქმეა? როცა მინდა, მაშინ შეგჭამ!

პირველი ხმა: - ჩვენთან, ვორკუტაში „პაიოვის“ მოპარვისთვის მაშინვე კლავდნენ.

მეორე ხმა: - ერთი ხელში ჩამიფარდეს, ეგრევე ნაწლავებს დავანხვევ კისერზე.

ბრიგადირი: - მორიგე, კარი ჩაკეტე. ბარაკიდან არავინ გაუშვათ.

ხმა: - რა ხდება?

ბრიგადირი: - ახლავე გაიგებთ! აბა, ყველა ნარეზზე! შემოწმებაზე დადექით!

რამაზი: - ეს რა ცერემონიაა?

მეზობელი: - ახლავე გაიგებთ! ეტყობა ქიმია ჩაუყარეს.

რამაზი: - რა ქიმია?

მეზობელი: - დატოვებულ პურზე წვრილად დაფხვნილ ქიმიურ ფანქარს აყრიან. ვისაც პირში მელანი ექნება, ის იქნება ქურდი. ახლავე ვიპოვნით, და ვაი მაგის ბედს.

ხმა: - აბა, ენა გამოყავი... გაიარე!.. პირი გააღე, გაიარე... შენ სად მიძვრები? დაიჭირეთ!

სხვა ხმა: - აჰაა, დაგიჭირე, შე ბოზო! აქ მოათრიე!

ბრიგადირი: - პირი გააღე!.. კი ეგაა! მისი ნამუშევარია!

რამაზი: - ვინაა ეს ბიჭი?

მეზობელი: - ვიღაცა ვაიძვერაა ახალი ეტაპიდან. ეხლა ეტირება ყოფა.

პირველი ხმა: - რას ეფერებით? სული ვააძრე ახლავე!

მეორე ხმა: - ყულფში ეგ ნაბოზარი!

ქურდი ყმაწვილი (თათრული აქცენტით): - მაპატიეთ ხალხი, ძალიან შია.. მეტი აღარ ქნას.

დექტორი: (ბარაკის ხმაურში) სამმა ღონიერმა პატიმარმა სწრაფად გაუკოჭეს ხელები უბედურს და სქელ კოჭზე გადაკიდული ყულფიანი თოვისკენ წაათრიეს. თავი გააცოფინეს ყულფში და წუთის შემდეგ პატარა თათარის სხეული თოვზე დაკიდული აძაგძაგდა. მაგრამ ამ დროს ვიღაცამ ფინური დანის ერთი მოქნევით გადაჭრა თოვი და ზედ ჩამოკიდებული სხეული ტომარასავით დაენარცხა ბარაკის მიწის იატაკზე. ეს იყო „კანონიერი ქურდი“ მიტკა-მეტეორი.

მიტკა-მეტეორი: - სტოპ, ბიჭებო, განაჩენი იცვლება! კარგად ხომ შეაგნებინეთ, სულს კი ნუ ამოართმევთ!

პირველი ხმა: - კარგი! მასე იყოს, აქ მოათრიეთ!

მეორე ხმა: - შეშის ნაპობითაა საცემი! ეს სომეხა. რას ნიშნავს სხვისი „პაიოვის“ მოპარვა“.

როგორ გამოიყურებოდა ეს ყოველივე, შეგვიძლია ცხადად წარმოვიდგინოთ თვით ავტორის მიერ ბანაკში გაკეთებული ჩანახატების მიხედვით.


ამ ნახატებს ჩვენ კიდევ დავუბრუნდებით და განვინილავთ, როგორც სიმონ კილაძის შემოქმედების ერთ-ერთ მნიშვნელოვან ასპექტს.

საქმე იმაშია, რომ ციმბირში და კერძოდ კოლიმასე ყოფნის ვიზუალური წარმოდგენა შეიძლება შევიქმნათ იმ ჩანახატებიდან, რომლებშიც ლამის ფოტოგრაფიული დეტალიზებითაა ასახული ვარემოც, პეიზაჟებიც, ადამიანთა ჯგუფებიც და ცალკეული პერსონებიც.




ამ ნახატებს შორის ავტობიოგრაფიული ნომრით H-1-211/

სიმონ კილაძის მიერ გადასახლების პერიოდში შექმნილი ჩანახატები ცალკე შესწავლის თემაა: ის, რომ ხატვა ეხერხებოდა და შესანიშნავი გრაფიკოსიც იყო, ამაზე არაა საუბარი. ცხადია, ხატვისთვის მას ბანაკში პირობებს არაფერს შეუქმნიდა და პირიქით, თავისი ნამუშევრები საიდუმლოდ უნდა ეკეთებინა, რათა კარცერში არ ჩაესვათ. უფრო მეტიც, ჩანახატები (და ჩანაწერები) ისე უნდა შეენახა, რომ პატიმრების ჩხრეკისას ზედამხედველებს არ ეპოვნათ. შეგვიძლია ვივარაუდოთ, რომ ამისათვის მას ასეთი რამ მოუფიქრებია: სუფთა ფურცლების შეკვრა ლევ ტოლსტოის მრავალტომეულის მე-9 ტომის ყდაში ჩაუსვამს, იმ იმედით რომ „კანკალი“ არც კი გადაფურცლავდა კლასიკოსის წიგნს... საბედნიეროდ, ამ ილუოს, ეტყობა, ვაუმართლებია და ასე „გამოაპარა“ მთელი გადასახლების პერიოდს თავისი სულიერი გადარჩენისთვის შექმნილი „კონტრაბანდა“.



აი, ის ტომი,
წარწერა წინა ყდაზე - Лев Толстой, ყუაზე კი - 9



როგორც ვთქვით, სიმონ კილაძის გადასახლების ეპოპეის „პირველი გაჩერება“ აღდანის² ოქროს მალაროებზე ტყისმჭრელთა ბანაკი აღმოჩნდა.

სხვათა შორის, იმ ფაქტს, რომ ოქროს მალაროებში მოხვდა, და არა ურანის საბადოებზე, გარკვეულ გამართლებადაც კი მიიჩნევს, სადაც, როგორც თავად აკეთებს ერთ-ერთი „ЗЕК“-ის ციტირებას, ექვს თვეში ფილტვებს დანითაც კი ვერ გაგიჭრიდნენო.

„ГУЛАГ“-ის ნებისმიერი პატიმარი ტყის ჭრაზე მუშაობას, როგორც ქვემარიტ „ჯოჯოხეთს დედამიწაზე“, ისე იხსენებს; გამონაკლისი არც სიმონ კილაძეა.

ტყისმჭრელებად გაშვებულ პატიმრებს მცირე ბრიგადებად აკომპლექტებდნენ, რომლებსაც ყოველდღიური გეგმა უნდა შეესრულებინათ - გარკვეული რაოდენობის (კერძოდ, ნ კუბომეტრი) ხე-ტყე უნდა დაემზადებინათ. ჯანმრთელ და ღონიერ პატიმრებს სულაც არ მოსწონდათ შედარებით სუსტი მეწყვილეები, რომელთა შრომის შედეგი მათსას ბევრად ჩამოუვარდებოდა, არადა, ეს შედეგი მათ მიერ მისაღები საკვების რაოდენობაზე აისახებოდა. იყო ბევრი „სიმულიანტიც“, რომლებიც სხვადასხვა ხერხს მიმართავდნენ არაადამიანური შრომისგან თავის დასაღწევად.

ისევ მიგყვით პიესის ტექსტს:

„დიქტორი: რამაში საღამოს მერე ვერ იყო კარგად. მხრებსა და ფეხებში ამტვრევდა. თავი სტკიოდა. ემინოდა, რომ ტყისკენ მიმავალი, ვხაზე არ დაცემულიყო. სამუშაოზე გაყვანის წინ ღუმელთან იჯდა და ჭუჭყიანი სველი „პარტიანების“ გაშრობას ელოდა, რომ ფეხზე ჩაეცვა. მის გვერდით საკუთარ რივს ელოდნენ და მყრალ მახორვას ეწყოდნენ ორნი - ბანაკელი უმაჯისები. ერთ-ერთი მისი ბარაკელი ინვალიდი იყო.“

² აღდანი (იაკუტური: Алдан) - ქალაქი რუსეთის ფედერაციის სახას რესპუბლიკაში (იაკუტია), აღდანის ოლქის ადმინისტრაციული ცენტრი და წარმოადგენს აღდანის ურბანული დასახლების ნაწილს. რუსეთის ფედერაციის პრეზიდენტის 2021 წლის 10 სექტემბრის ბრძანებულებით, ქალაქს მიენიჭა „შრომითი მამაცობის ქალაქის“ ტიტული... ის წარმოიშვა, როგორც სამთო დასახლება 1923 წელს აღმოჩენილი დიდი ოქროს საბადოს მახლობლად და ეწოდა ნეზამეტნი. 1939 წელს, მალაროს ადგილას დაარსდა ქალაქი აღდანი, რომელმაც სახელი მიიღო ამავე სახელწოდების მდინარიდან. ჰიდრონიმ „აღდანის“ (ტოპონიმებთან „ალტანი“, „ალტანი“ და „უსტ-ალტანთან“ ერთად) წარმოშობა თურქულ-მონღოლურ სიტყვა „ალტანს“ ანუ „ალტინს“ უკავშირდება, რაც „ოქროს“ ნიშნავს... 1932 წლის 20 სექტემბერს სოფელ ნეზამეტნიმ ქალაქის სტატუსი მიიღო, ხოლო 1939 წლის მაისში მას ქალაქი აღდანი ეწოდა. ქალაქი მდებარეობს ბუნებრივი რესურსებით მდიდარ ტერიტორიაზე: გეოლოგიურმა კვლევამ დაადასტურა სპილენძის, ურანის, ქარსის და რკინის მადნის დიდი მარაგების, ასევე პოლიმეტალების და ოქროს არსებობა ...; აღდანის ეკონომიკა ოქროს მოპოვებაზეა დაფუძნებული. [https://ru.wikipedia.org/wiki/Алдан_\(город\)](https://ru.wikipedia.org/wiki/Алдан_(город))

უმაჟნისი: მე მეტი აღარ შემიძლია. ზამთარი ახლა დაიწყო და ფეხებს უკვე ძლივს დავატარე. აი, მორებივით გამისივდა.

ინვალიდი: სულელი ხარ და იმიტომ.

უმაჟნისი: რატომ?

ინვალიდი: იმიტომ რომ ჭკუას არ სწავლობ. ნუთუ ორი თითი უფრო გენანება, ვიდრე სიცოცხლე.

უმაჟნისი: არ შემიძლია? გაიგე, ვერ ვბედავ.

ინვალიდი: კაცი კი არა, დედაკაცი ხარ! რა არის ამაში საშიში? დადე თითები კუნძზე, ალესილი ცულით ჩიკ - და მორჩა! სამაგიეროდ, მთელი ზამთარი ზონაში უსაქმოდ იჯდები, სითბოში და მოვალეობების გარეშე.

უმაჟნისი: აბა, ხელი მაჩვენე!

ინვალიდი: რაა სანახავი, ორი თითი მაკლია.

უმაჟნისი: მტკივნეული არ იყო?

ინვალიდი: შენ რა, მთლად ისე - ტკივილის გარეშე ვინდა უქმად ზონაში ვდომა?

უმაჟნისი: მაინდამაინც მარჯვენა ხელია საჭირო?

ინვალიდი: შტერო, სად გინახავს ინვალიდი სალი მარჯვენა ხელით?

უმაჟნისი: სხვა რაშე არ შეიძლება?

ინვალიდი: შეიძლება, მაგრამ ეს უკვე უფასოდ არ იქნება.

უმაჟნისი: რატომ?

ინვალიდი: იმიტომ რომ საყიდელი იქნება. გაქვს კი შენ პურის ზედმეტი ულუფები? მაგალითად, ბებერი აბდულაევის სველი ტუბერკოლოზი ერთნახევარი ულუფა პური ღირს. ყლაპავ სველ ამონახველს და თუ გაგიმართლა, ხდები კანონიერი ტუბერკოლოზიანი, სანამ ფეხებს არ გაფშეკ.

უმაჟნისი: არა, ტუბიკობა არ მინდა.

ინვალიდი: მაშინ აილე ნემსი და ძაფი, დაასველე ჭუჭყიან ნავთში, გამოჭიმე კანი ფეხზე და გაუყარე მასში ნემსი ძაფით.

უმაჟნისი: რა გამოგა ამით?

ინვალიდი: ის გამოგა, რომ ორ დღეში ფეხზე ანთება გაგინდება და მორივით გაგისივდება.

უმაჟნისი: დიდი ხნით?

ინვალიდი: სანამ არ მოგაჭრიან.

უმაჟნისი: რას მოგაჭრიან, ძაფს?

ინვალიდი: შტერო, ძაფს კი არა, ფეხს!

უმაჟნისი: კარგი, ვიფიქრებ. წამო სასადილოში. მალე ნარჩენებს გადმოყრიან.

ცივი ყინვიანი დილა. პატიმრები ტყის ჭრაზე მიჰყავთ.

დიქტორი: იმ დღეს რამაზმა ძლივს მიაღწია სამუშაომდე. თავი უბრუოდა და უსიამოვნო სისუსტე მთელ სხეულზე ჰქონდა მოდებული. კუნძზე ჩამოვდა და იგრძნო, რომ წამოსადგომი ძალა აღარ ყოფნიდა.

ისმის ინვალიდის სიტყვები: - „რა არის ამაში საშიში? დადე თითები კუნძზე, ალესილი ცულით ჩიკ - და მორჩა! სამაგიეროდ, მთელი ზამთარი ზონაში უსაქმოდ იჯდები, სითბოში და მოვალეობების გარეშე“. - გაახსენდა უცებ ინვალიდი პატიმრის სიტყვე-

ბი... მართლა რომ სცადოს? ჯანდაბას ეს ორი თითი, როგორმე უმაგათოდაც გაძლებს კაცი. მეტის გაძლება აღარ შეიძლება! ხელებშიც და ფეხებშიც თითქოს ტყვიან ჩასხმული. მთელი სხეული ეწვის, თავბრუ ეხვევა. გრძობს, რომ დღევანდელ დღეს ვეღარ გადაურჩება. ეს უკვე ზღვარია...

მათი ტყისმჭრელი ბრიგადა შერეული იყო. ამ დღეს რამაზს წყვილში მოზრდილი მუტრუკი შეხვდა, ვინმე სემიბრატოვი, საჯარო ნაწილიდან ცოტა ხნის წინ გადმოყვანილი. როგორც ამბობდნენ, ერთი ჩხუბისთავი ვინმე იყო და უკვე მეორე ჯერზე იჯდა მთვრალი ყაჩაღობისთვის. მან რამაზი უკმაყოფილოდ შეათვალიერა და ჩაიბურტყუნა: სემიბრატოვი: ჩემი ბედი რა ვთქვი, ამის დედაც! ასეთ მეწყვილესთან ერთად ექვს კუბს როგორ დადებ!

რამაზი: შენ შტრაფბატიდან არ ხარ? რაზე მოხვდი იქ?

სემიბრატოვი: რაზე და, ერთ ბანაკელ რეგენს აყვივი; გავუდე, როგორც ეკუთვნოდა. კარგა ხანს ემანსოვრება! მთელი თვე საჯარო კი ავიდი. ახლა კიდე, თქვენთან ჩამომსვს, ჭრაჭუნებთან. შემპირდნენ, რომ უფროსად დამაყენებენ, თუ ნორმას გამოვალ; მე იმის დედა ყველანაირად, ვინც აქ ასეთი ნორმატივები დააწესა.

რამაზი: სემიბრატოვ, რა გქვია?

სემიბრატოვი: მე-ე? რაში გაინტერესებს? მარლენი ვარ.

რამაზი: მარლენი?

სემიბრატოვი: ჰო, რა იყო, არ გაგივია? მარქსი და ლენინი რომ შეაერთო ეგრა იქნება.

მამაჩემმა ასე დამარქვა... ფინეთის ომში დაიღუპა.

რამაზი: მარლენ, სათხოვარი მაქვს, კაცური...

სემიბრატოვი: რა გინდა?

რამაზი: კეთილი საქმე გამიკეთე, ვთხოვ, ძალიან უბრალო...

სემიბრატოვი: რა კეთილი საქმე?

რამაზი: შენთვის ძალიან იოლია, მე კი ძალიან მიჭირს.

სემიბრატოვი: ამოღერდე, რა გინდა ?

რამაზი: მინდა, რომ ორი თითი მომაჭრა ნაჯახით.

სემიბრატოვი: ორი თითი? აჰა, ინგალიდობა გინდა გაიკრა?

რამაზი: დამეხმარები, სემიბრატოვ?

სემიბრატოვი: როგორ არა, ეგ შეიძლება. თუ საჭიროა, თავიც შემიძლია წაგაცალო.

რამაზი: ვიცე, მაგრამ ორი თითი საუმარისია. ნაჯახი ალესილი გაქვს?

სემიბრატოვი: სამართებელივითაა! რა იყო?

რამაზი: არაფერი, ოღონდ მხოლოდ თითების ზომაზე.

სემიბრატოვი: კარგი, დადე თათი კუნძზე, ყველაფერი ისე იქნება, როგორც აფთიაქში.

ჰა, დაფიწყეთ?

რამაზი: მიდი!

დოქტორი: სემიბრატოვმა ნაჯახი ასწია, მოიქნია და დაიკრუტუნა. რამაზმა კი თითების ნაცვლად, დარტყმა კისერში მიიღო; თან ისეთი, რომ „უშანკა“ წასძვრა და თოვლში ჩავარდა. რამაზს კეფა ეტკინა და თვალებიდან ნაპერწკლები წამოსცვივდა. მან დაიხედა ხელზე და ყველაფერს მინვდა. სემიბრატოვმა, ალიყური რომ აჭამა, სიცილით გადაბჟირდა.

სემიბრატოვი: ჰა-ჰა-ჰა! მოგეწონა? გემანსოვრება სემიბრატოვი. გადი აქედან შენი თითებიანად, სანამ ვგინიც წაგაცალო და ეგ სულელი თავიც.

მოწყენილი, უხალისო მუსიკა.“

ფფქრობ, მოყვანილი ფრაგმენტი ერთობ სახიერად, თან მხატვრულად და სანდოობის დიდი ალბათობით აღწერს ГYJIAG-ის სურათს, მოქმედი პირების ისეთი აღწერით, რაც სავსებით საკმარისია მის წარმოსადგენად როგორც მკითხველისთვის, ისე რადიომსმენელისთვის, ვისთვისაც იგი, პრაქტიკულად, იყო განკუთვნილი.

რა უცნაურადაც არ უნდა მოგვეჩვენოს, სიმონ კილაძეს პირველი ინფორმაცია თავისი მეუღლისა და შვილის შესახებ სწორედ გადასახლებულთა ბანაკში მოუპოვებია. დასახლებებში „ნიჟნი კურანახ“³.

წარმოვიდგინოთ ეს ამბავი პიესაში ტექსტით აღწერილი ეპიზოდის სახით;
„დიქტორი: ნიჟნი-კურანახის ბანაკში (Городское поселение «Поселок Нижний Куранах») რამაზმა ვინმე ოტო ნეიდორფი გაიცნო - მაღალი, მხრებში ცოტა მოხრილი, ღია-ლურჯოვალეა, თავაზიანი სახის გერმანელი. მან საკმაოდ კარგად იცოდა რუსული და რამაზს მოეწონა მისი ინტელიგენტურობის, სიმშვიდისა და გერმანული აკურატულობის გამო. ერთხელ, როცა რამაზი თავის ამბებს უყვებოდა, საუბარი ჰელენაზე (იგულისხმება - ბოჟენაზე) ჩამოვარდა.

ოტო: კი მაგრამ, მასთან დაკავშირება თუ სცადეთ? შვილის ამბავი მაინც არ გაინტერესებთ? რამაზი: როგორ არ მაინტერესებს, მაგრამ მე რა შემძლია? ბანაკიდან საზღვარგარეთ

წერილის გაგზავნა შესაძლებელია? რუსეთიდანაც კი თვეობით მოდის წერილები.

ოტო: მაინც უნდა სცადოთ.

რამაზი: როგორ?

ოტო: ავიხსნით: გაქვთ მისი ნათესავების ან ახლობლების მისამართი პოლონეთში?

რამაზი: მარტო დეიდამისის მისამართი მახსოვს.

ოტო: შესანიშნავია. ასე მოვიქცეთ. მე ნაცნობი მყავს გადმოსახლებული გერმანელების დასახლებაში. მისი საშუალებით წერილს გავუგზავნი დედაჩემს გერმანიაში და ის ეცდება ჰელენას მოძებნას. ომის შემდეგ იქ ისეთი რია-რია დატრიალდა, რომ ამას ყურადღებას არ მიაქცევენ. ახლა ათასობით ადამიანი დაექვს თავისიანებს. რამდენი ხანია, რაც ჰელენას შესახებ არაფერი იცი?

რამაზი: თითქმის ორი წელია. ჩემმა დამ მიიღო მისგან ერთდერთი წერილი. მერე ის ყაზახეთში გადასახლეს და კავშირებიც გაწყდა. მაშინ ჰელენა უკვე დასავლეთ გერმანიაში იმყოფებოდა.

ოტო: უფრო ზუსტად?

რამაზი: როგორც ჩემი და მწერდა, თითქოს რურში უნდა ყოფილიყო.

ოტო: შენი ვაჟიც თან ჰყავდა?

რამაზი: ცხადია, თან ეყოლებოდა.

³ დასახლება ქვემო კურანახი - Нижний Куранах (якут. Аллараа Кураанах) - (იაკუტურად: ალარაა კურანახი) - სოფელი იაკუტიის რესპუბლიკის ალდანსკის რაიონში, რუსეთში. ის მდებარეობს მდინარე ბოლოში კურანახის ნაპირებზე (ალდანის მდინარის აუზში). მოსახლეობა დასახლებით 5000 ადამიანს შეადგენს. ადმინისტრაციულ ცენტრამდე მანძილი 26 კმ-ია... მოსახლეობა უშუალოდ დასაქმებულია სამთო-გადამამუშავებელი ქარხნის პირველად წარმოებასა და დამხმარე მომსახურებაში. სოფელში გადის ამურ-იაკუტსკის გზატკეცილი. აქ არის საზოგადოებრივი ცენტრი, გიმნაზია, საშუალო სკოლა, სპეციალური საგანმანათლებლო დაწესებულება, მუსიკალური სკოლა, სამი საბავშვო ბაღი, სპორტული კომპლექსი, ჯანდაცვის დაწესებულებები, ვაჭრობა და მომხმარებელთა მომსახურება. სოფლის ადმინისტრაცია ზედამხედველობს გერმანიის კურანახის (8 კმ-ის დაშორებით) და იაკოტიის (30 კმ) სოფლის დასახლებებს. „კურანახი“ იაკუტურად „დამშრალ წყაროს“ ნიშნავს. https://ru.wikipedia.org/wiki/Нижний_Куранах.

ოტო: ჰელენას დეიდას არაფერი ეცოდინება, ვითომ?

რამაზი: ალბათ ეცოდინება. ჩემს დას წერდა, რომ თუ ერთმანეთს დავკარგავდით, მისი მისამართით დავკავშირებოდით.

ოტო: მოდი, ასე ვქნათ: შენ დაწერე მისთვის წერილი. მე მას გერმანულად ვთარგმნი და გავგზავნი გერმანიაში ჩემი ნაცნობების საშუალებით. ეჭვი რომ არ გამოვიწვიოთ, მე მათ ჰელენას დეიდას მისამართს შევატყობინებ, მერე კი ცალკე გავგზავნით შენს წერილს. თანახმა ხარ?

რამაზი: თანახმა ვარ, ცხადია.

დიქტორი: ნეიდორფმა, სამსახურში რომ გავიდა, ნაცნობ გერმანელს წერილი ვადაცა, რომელსაც წერილი აღდანთან გერმანიაში უნდა გადაეგზავნა. ერთმანეთს წაეწყო მოლოდინის თვეები. გრძელი იაკუტური სამთარი გაზაფხულმა შეცვალა. ზაფხულმაც მალე გაიბრინა, დადგა შემოდგომა, მაგრამ პასუხი წერილზე არა და არ იყო.

დიქტორი: იმ საღამოს რამაზს ნათელი სიზმარი ესიზმრა. ირგვლივ ყველაფერი ცისფერი იყო. ტყე, მიწა, ცა და მასზე მცურავი ცისფერივე ღრუბლები.

და იდგა ჰელენა ლამაზ, ღია-ცისფერ კაბაში და ცისფერ ცხვირსახოცს უქნევდა. ირგვლივ ყველაფერი გამჭვირვალე ცისფერ ნისლში იყო გახვეული, როგორც ცისფერ ზღაპარში.

ჰელენას ხელში თოჯინასავით ცისფერთვალეა მათი ბიჭუნა ეჭირა, ტანზე გრძელი ცისფერი ხალათი ეცვა ცისფერი მაქმანებით. ცისფერი სიშორიდან ისმოდა ცისფერი ზანზალაკების ცისფერი მუსიკა.

რამაზი: ჩემთან შემოვივლია. რამე სიხსლეა?

ოტო: მალარიჩი შენზეა.

რამაზი: რამე გამოჩნდა იქიდან?

ოტო: იქიდან, ჩემო კაბიტანო.

რამაზი: მითხარი მერე, ნუ წელავ. წერილია რამე?

ოტო: წერილიცაა და კიდევ რაღაცაც. აბა ეს ფოტოსურათი ნახე, როგორ ფიქრობ, ვინ არიან? ვერ ცნობ? აი ესაა შენი ბიჭი...

რამაზი: მომეცი... ვაჰ, რა მემართება, რა მომდის... მადლობა ღმერთს, მადლობა ღმერთს. რამდენი ხანი ველოდი ამ წუთს.

ოტო: მადლობა უთხარი ბედს ასეთი საჩუქრისთვის.

რამაზი: წერილი სადაა?

ოტო: მოიცა, ჯერ ეს ფოტოები ნახე. შენი ბიჭი უკვე დიდია, აი, რადიოლასთან ზის და თავი შენს ფოტოსურათზე აქვს მიყრდნობილი... რა გატირებს, კაცი არა ხარ?.. აი, ხომ ხედავ, ჩემი გერმანული ტვინი ჯერაც მუშაობს... ეს ხომ გამოგვივიდა, ახლა კი უფრო საინტერესო რამე ხდება - აი წერილი შენი ცოლი ჰელენასგან!

(ნაცნობი ქართული მელოდია)

ვინდა, წავიკითხო?

რამაზი: მანახე!.. კი, მისი ხელია! წაიკითხე.

ოტო: */კითხულობს, ვამუდმებით ისმის ნაცნობი მელოდია/ ჩემო ძვირფასო, როგორც იქნა, ამდენი ხნის დუმილის მერე, შენგან მოვიდა ნანატრი წერილი. მე უკვე მეგონა, რომ ვეღარასოდეს მივწერდით ერთმანეთს. ნუთუ შენ გჯერა, რომ აქამდე არ მიცდია შენთვის მოწერა? არაერთხელ მივწერე შენს დას, მაგრამ მისგან პასუხი არ მიმიღია. სხვა მისამართი, როგორც შენ იცი, მე არ მქონდა.*

ჩვენ ჯანმრთელოდ ვართ. დიას, ჩემო ძვირფასო, მძიმე ბედი გვერვო. ასე გადაწყვიტა ღმერთმა, მაგრამ ეს შენი ცოდვების ვამო არ ხდება. მე შენ ძალიან კარვად ვიცნობ, ჩემო ძვირფასო. შენ ყოველთვის კარგი ადამიანი იყავი, განსაკუთრებით ჩემს მიმართ. შენ გააკეთე ჩემთვის ყველაფერი, რაც მამაკაცს შეუძლია გააკეთოს საყვარელი ქალისთვის.

მე მჯერა ჩვენი სიყვარულის. ის ასე მშვენიერი იყო. მან ისეთი ბედნიერება მოგვითანა - ჩვენი ბიჭუნა.

შესანიშნავი ბავშვია. ცოტათი ნაზი, მოყვარული, ცელქი. ის ყველაზე დიდი სიხარულია ჩვენი ოჯახისთვის. ის უცპე კარვად ლაპარაკობს და ყველაფერი ესმის. დედასავით ქერაა და ცისფერთვალუბა, მაგრამ ფიგურა, ფეხები, ხელები, - ყველაფერი მისი საწყალი მამისგან აქვს.

მე მას დავატარებ ეკლესიაში და იგი ჩემთან ერთად ლოცულობს შენთვის. შენს პატივსაცემად, მას შენი სახელი დაფარქვი, და შენს გვარს ატარებს. მგონია, რომ შენ ეს გესიამოვნება.

თითქმის ყოველდღე მეკითხება შენზე: დედა, სადაა ჩემი მამა? რატომ არ ბრუნდება ამდენ ხანს?

მე არ შემიძლია ბავშვს სიმართლე ვუთხრა, ვპასუხობ, რომ შენ დიდი ხნით წახვედი და ჩვენ უნდა დაგელოდოთ. მას სჯერა ჩემი სიტყვების და მოთმენით ვიცდის.

დიას, ძვირფასო, ჩვენი შვილი - ერთადერთი სიხარულია, რის გარეშეც ჩემს სიცოცხლე აზრი არ ექნებოდა.

შენი ფოტოსურათი რადიოლაზე გვიდევს და შენი შვილი დღეში რამდენჯერმე კოცნის მას და ათვალთვლებს.

საყვარელო, ნუ განიცდი ყველაფერს ასე მძიმედ. არცერთი ჩვენგანის ბრალი არაა, რომ ჩვენი ბედი ასე ტრაგიკულად აეწყო. ერთადერთი, რასაც ვთხოვ, თავს გაუფრთხილდი, შეინარჩუნე ჯანმრთელობა და ყველაფერი კარვად იქნება. შენს შვილს ყველაფერი აუცილებელი აქვს და ამაზე არასოდეს აღარ იდარდო.

მომწერე წერილები, მე ყოველთვის ველოდები შენს პასუხს. ღმერთი შენსკენ.

შენი ბიჭი ყოველ დღით და საღამოს ლოცულობს თავისი საყვარელი მამისთვის, მის ჯანმრთელობაზე.

გკოცნით ორივე. შენი საწყალი ჰელენა.

(ისმის ჰელენას ხმა, რომელიც მღერის ნაცნობ ქართულ მელიოდის).


დიქტორი: გვიან ღამით, როცა ნაიდორფი წავიდა, რამაზი ბანაკის ეზოში გამოვიდა. იგი გავიდა სასადილოს უკან და იქ, მარტოდმარტო, მავთულხლართის ღობესთან, ჩუმად ტიროდა თავსდამტყდარი მოულოდნელი სიხარულისგან.

ჰელენასთვის წერილზე პასუხის გაცემა რამაზმა ვერ შეძლო. რამდენიმე დღის შემდეგ ის ეტაპით სასწრაფოდ კოლიმაზე გაამწესეს. პოლიტიკურ პატიმრებს შორის რამაზიც აღმოჩნდა“.

ასე მოხვდა სიმონ კილაძე კოლიმაზე.⁴

⁴ Колыма /კოლიმა (იაგუტურად: კულუ; ხალიმა) მდინარეა რუსეთის იაგუტიასა და მაგადანის ოლქში. მისი სიგრძე 2,129 კმ-ია (2,513 კმ მდინარე კენიელინის სათავიდან, რომელიც კულუს მარჯვენა შენაკადია), აქედან დაახლოებით 1,400 კმ მაგადანის ოლქშია, ხოლო დანარჩენი - იაგუტიასში.

კოლიმაზე ყოფნის აღწერა სიმონ კილაძეს ცალკეც სტატიადაც გამოუქვეყნებია ჟურნალში „დროშა“⁵ დამატებით, ალბათ უნდა ითქვას, რომ ეს გამოცემა 1989 წლის 9 აპრილის შემდეგ პირველივე ნომერია და პუბლიკაციის ტექსტი სიმბოლურად ეხმიანება კიდევ ამ ტრაგედიას.



გადასახლებაში სიმონ კილაძის ფიზიკური გადარჩენის შესახებ ჩნდება კითხვა - რა იყო ეს: ბედნიერი შემთხვევა თუ სიმონის მიერ ადრინდელი საქციელებისა და ადამიანების მიმართ კეთილგანწყობილი მენტალიტეტისთვის კარმული პასუხი? საერთოდაც, პიესის (და რომანის) მთელი ტექსტი გამსჭვალულია იმ სულისკვეთებით, რომ მიუხე-

ზოგიერთი მიიჩნევს, რომ ჰიდრონიმი „კოლიმა“ მომდინარეობს ჩრდილოეთ იუკაგის კულუმადან („მდინარე“), მაგრამ ამ სიტყვის ეტიმოლოგია გურუგვეელია და შესაძლოა, ის ნახესხები იყოს... რუსებმა კოლიმას ათვისება 1638-1639 წლებში მდინარე ინდიგირკასა და ალაშეიას აღმოჩენის შემდეგ დაიწყეს. ჯერ კიდევ 1644 წელს პომორმა მიხაილ სტადუხინმა კოლიმაზე ნიჟნეკოლიმსკოეს საზამთრო სამყოფელი დააარსა და პირველი ინფორმაცია მოგვარწოდა მეომარი ჩუკების შესახებ. მალევე, ნიჟნეკოლიმსკოეს საზამთრო ქოხიდან, რომელიც ციხესიმაგრედ ანუ დოკად იყო გადაკეთებული, აღმოსავლეთით ახალი მიწების ძიება დაიწყო (1647 და 1648 წლებში). სემიონ დეჟნევა, სხვა კაზაკებთან ერთად, აღმოსავლეთით საზღვაო მოგზაურობა დაიწყო მდინარე ანადირის შესართავის აღმოსაჩენად...1741 წელს დიმიტრი ლაპტევა, კოლიმას სანაპიროს აღწერისას, კამენაია კოლიმას შესართავთან ნიშანი ანუ შუქურა აღმართა. აქედანვე გაემგზავრნენ ვრანგელის, ბილინგის და სხვების ექსპედიციები. დალსტროის ბანაკების უმეტესობა სსრკ-ის ჩრდილო-აღმოსავლეთით მდებარე შორეულ რაიონებში (მაგალითად, ბერეგლავი კოლიმაზე) მდებარეობდა.

<https://ru.wikipedia.org/wiki/Колыма>

⁵ კილაძე ს., ეს მოხდა კოლიმაზე. ჟურნ. „დროშა“, #5, 1989. გვ, 14-15.



დავად უამრავი ბოროტი გამოვლინებისა (დავესესხები ვერამ დორჩანაშვილს) - ქვეყანას სიყვარული ატრიალებს.

ამ დამოკიდებულების გამოვლინება რადიობიესაში სხვადასხვა ამბის სახით შეიძლება შეინიშნოს.

1. სემიბრატოვის ამბავი
2. მამის ნაცნობის ამბავი
3. ნეიდორფის და წერილის ამბავი
4. შეხვედრა ფრონტელ მეგობართან
5. რეაბილიტაციის კომისიის თავმჯდომარის მთადეილის ამბავი და ა.შ.

მაგრამ სწორედ ეს შემთხვევებია, რომლებზეც უმთავრესადაა გამაზვლებული ყურადღება რადიობიესად მონათლულ დრამატულ ნაწერში („შეხვედრა ნიაგარაზე“ ზომ - მით უმეტეს - მისტიკაშიც კი გადადის).

სემიბრატოვისა და ნეიდორფის თემებზე უკვე ვისაუბრეთ. ამდენად, მიყვებით სხვა ისტორიებსაც:

• მამის ნაცნობი

რადიობიესის ტექსტი:

„დიქტორი: ბანაკში ხმა დაიწება, რომ დიდი უფროსობა აპირებდა ჩამოსვლას. დაიწყო გენერალური დალაგება-დასუფთავებები, ბარაკების, სასადილოს და აბანოს რემონტი და შეღებვა. ყველაფერი გამოასუფთავეს, გამორეცხეს, გადაწმინდეს. სუსტები და ავადმყოფები სახითარულ ნაწილებში გადაიყვანეს. ურჩები გამოყარეს კარკერებიდან. სამწარელოში, ნახევრადრამბალი კომბოსტოს მყრალი ბალანდის ნაცვლად, მუხუ-

დოს სუბი და მოთუშული ხორცი მომზადდა, ხოლო შვრიის ფაფის ნაცვლად - ხორბლის ფაფა.

იმ დღეებში რამაზი ავადმყოფ მორიგეს ცვლიდა და მას მოუწია ბარაკის პატაკის ჩაბარება ხელმძღვანელობისთვის.

რამაზი: მოქალაქე უფროსო, ბრიგადა მზადაა სამუშაოზე გასვლისთვის. მორიგე პატიმარი ენუქიძე.

უფროსი: ენუქიძე? ქართველი?

რამაზი: დიას, მოქალაქე უფროსო.

უფროსი: რა მუხლით ხარ გასამართლებული?

რამაზი: მუხლი წმ, 1 ბ.

უფროსი: გასაგებია.

დიქტორი: მეორე დილით რამაზი მოულოდნელად გამოიძახეს მორიგე ოფიცერთან.

ოფიცერი: შემოდი. დაჯექი მაგიდასთან. აილე ფანქარი და ქაღალდი და დაკვირვებით გადაწერე, რაც ამ პაპაში (საქაღალდეში) დევს. გასაგებია?

რამაზი: გასაგებია.

ოფიცერი: ორ ცალად დაწერე. ერთს თვითონ წაიღებ, მეორეს აქ დატოვებ. ვაიგე?

რამაზი: გასაგებია, მაგრამ რისთვის?

ოფიცერი: ნუ სულელობ! გააკეთე, რასაც გიბრძანებენ.

რამაზი: კარგი. რა დაწერო?

ოფიცერი: შენ რა, წერა-კითხვა არ იცი? ზუსტად გადაწერე ყველაფერი, რაც აქ არის.

პირველი: შებოლილი ძეხვი, მერე: ყველი, სალა, ნამცხვარი, პაპიროსი „ყაზბეგი“,

შესქელებული რძე ორი ქილა; ჩაწერე? და ერთი ბოთლი არაყი.

რამაზი: რაა?

ოფიცერი: ბოთლი არაყი... ახლა კი ხელი მოაწერე, მიიღე ყველაფერი სრულად და დასვი ხელმოწერა და თარიღი. მაგრამ გაფრთხილებ, თუ აქ ჩამოთვლილიდან რამე თუნდაც ერთი ნამცეცი მოხვდება შავებთან, ან საერთოდ ვინმე სხვასთან თქვენი ბარაკის გარეთ, იცოდე, რომ იწოლატორიდან ვეღარ გამოძვრები. დაიხსომე ეს. ახლა მითხარი, საიდან გიცნობს ამხელა ხელმძღვანელობა.

რამაზი: რა ხელმძღვანელობა?

ოფიცერი: ჩვენ ბანაკში მოსული ინსპექცია!

რამაზი: მენუმრებით, უფროსო?

ოფიცერი: რას გენუმრები... შენი საქმე გამოითხოვა და თქვა, რომ მამათქვენს კარგად იცნობდა.

რამაზი: მამაჩემს?

ოფიცერი: ჰო, მამაშენს. სამხედრო იყო ხომ, გენერალი?

რამაზი: მამინ გენერლის წოდება ჯერ არ იყო. ოთხი რომბი კი ჰქონდა.

ოფიცერი: გამოდის, გენერალს თავისი სამსახური მამაშენთან დაუწყია. ისე მომხდარა, რომ ერთ ქორწილში ერთ თამადასთან უჩნუბია, მილიციის თანამშრომელთან. მიხეზნე გენერალი არ საუბრობს. ორივეს იარაღი ჰქონია, პირველს იმ თამადას უსვრია, მაგრამ აუცილებია. გენერალმა კი მხარი გაუხვრიტა. ამ საქმემ ზემოთაც გააღწია და ორივეს ტრიბუნალი ელოდა. მილიციის თანამშრომელმა, რომ გამოძვრალიყო, ბევრი მოიტყუა და მოწმეებიც დაითანხმა ცრუ ჩვენებებზე; მამაშენმა კი სწორად გამოძიება შეძლო, თამადას სასჯელი მიართვეს, გენერალი კი ჰაუბტვანტით გადარჩა, არ იცოდი ეს ამბავი?

რამაზი: არა.

ოფიცერი: ახლა ხომ ხვდები, რაშია საქმე?

რამაზი: ვასაგებია.

ოფიცერი: მაგრამ ამაზე არაფერ არ უნდა იცოდეს! განსოვდეს.

რამაზი: არის, არავის ეცოდინება.

ოფიცერი: ახლა ახვეტე ეს ყველაფერი და არ დაგავიწყდეს, რაც გაგაფრთხილე. ბარაკი, ხმები, ისმის ბანაკის სიმღერა..

ხმა: კაპიტან, ვაჰ, რა, ამანათია?

რამაზი: როგორც ხედავთ.

ხმა: მთელი „ელისევეის“ მალაჩიაა!

ხმა: ამანათი ვისგანაა?

რამაზი: ერთი კეთილი ბიძიასგან.

ხმა: თქვენი ნაცნობია?

რამაზი: ეგრე გამოდის.

ხმა: საიდან?

რამაზი: იმ ქვეყნიდან; გაწყობს? ყველაფერი მაგიდაზე დააწყვეთ, რამდენი ხანია ასეთი რამეები არ გაგვისინჯია.

ხმა: ძეხვი, ხალხი, ყველი!

ხმა: ჩაშუშული ხორცის კონსერვი, ნამდვილი „ყაზბეგი“!

დიქტორი: ყველა ისე იყვნენ ამანათზე ყურადღებით, რომ ვერავინ შენიშნა, თუ როგორ გაიღო კარი და ბარაკში შემოვიდა „ბლატნოი“ პატიმრების ჯგუფი, მალაჩი - ქვეწარმავლის მსგავსი ახვარის - „სემაფორის“ მეთაურობით.

სემაფორი: ბიჭებს სიცოცხლე! ვაა, ეს საჩუქარი ვისთვის უკისრია ღმერთს? არაა ლამაზი, ძმებო, აქ ასეთი ამბავი გაქვთ და მე არც კი დამპატიჟეთ. ხომ შეიძლება მეწყინოს? ხომ იცით, როგორ მიყვარს „ყაზბეგი“ და აი ეგეც, ბოთლით რომაა.

დიქტორი: სანამ ლაპარაკობდა, სემაფორის „შესტიორებმა“ სწრაფად გადაანაწილეს მთელი ხორაკი, ტომარაში ჩააწყვეს ყველაფერი, რაც ქურდებს „ერგებოდათ“ ბანაკის დაუწერელი კანონების შესაბამისად.

სემაფორი: მოვწიოთ, კაპიტანო... ნახევარ კოლოფ „ყაზბეგს“ დაგიტოვებ. მოგვიანებით შემოიარე და შენს 50 გრამსაც მიიღებ. შევთანხმდით?

დიქტორი: კარი ხმაურით გაიღო და ბარაკში შემოცვივდნენ დარაჯები რეჟიმის უფროსის ხელმძღვანელობით.

ოფიცერი: სემაფორ, აქ რას აკეთებ? ისევ შენებურს შეუდექი? სადაა მორიგე?

რამაზი: აქ ვარ, მოქალაქე უფროსო.

ოფიცერი: შენ რა გაგაფრთხილეს? რატომ არ შეასრულე, რაც ვიბრძანეს?

რამაზი: რა უნდა მექნა? თქვენ ხომ ჩემზე უკეთ იცით ბანაკის კანონები.

ოფიცერი: ახლავე დააბრუნეთ ყველაფერი!

სემაფორი: ბაზარი არაა, ყველაფერი რიგზეა, მოქალაქე უფროსო! შენ კი, კაპიტან, მაგარი „ფრუქტი“ ყოფილხარ, არაფერი ვითქვამს თუ ასეთი ამბავი იყო.

ოფიცერი: მორჩა! უცხო ბარაკიდან ყველამ ნაბიჯით იარ... ყველაფერი დააბრუნეს?

რამაზი: კი, ყველაფერია, (და ჩუმად სემაფორს): მერე გამოუშვი ვინმე და გამოგივზავნი ნახევარ კოლოფ „ყაზბეგს“ და შენს 50 გრამს“.

ამ მონაკვეთიდანაც, რომლიდანაც - მონაწილეთა ლექსიკის მიერ გამოყენებული ლექსიკის მიღმა ლამის პორტრეტებიც კი სავსებით რეალურია, კარგად ჩანს, თუ რა პირო-

ბებში უხდებოდა სიმონ კილაძეს საკუთარი სიცოცხლის და ჯანმრთელობის გადარჩენა, რაც მრავალ - მასზე ნაკლებად მოსაზრებულ მსჯავრდებულს ძვირად დაუჯდებოდა... კონკრეტულად ეს ეპიზოდი კი იმის ნიშანია, რომ თვით სახელმწიფოს დამსჯელ მანქანაშიც იყვნენ ადამიანები, რომლებსაც ადამიანური მადლიერების გრძნობა შენარჩუნებული ჰქონდათ.

• ფრონტელი მეგობარი

ფრონტელი მეგობარი, სიმონ კილაძემ, კოლიმის ბანაკის უფროსში - მაიორ ტროფიმოვში შეიცნო, მაგრამ მასთან მიახლოების საშუალება არ მიეცა:

დიქტორი: რამაზს ის დღეც გაახსენდა როცა მაიორ ტროფიმოვს პირველად შეხვდა. 1944 წლის ბოლო იყო, როცა მათი დივიზია ნარვის პლაცდარმის დაცვაში იდგა.. ღამე, გვიანი ვახშმის მერე, რამაზი ტელეფონისტმა გააღვიძა.

ტელეფონისტი: ამხანაგო კომბატ, მეოცე გიძახებთ.

პოლკის მეთაური: შენ რა, ხვრინავ?

რამაზი: დაძინებას ვაპირებდი.

პოლკის მეთაური: მოკლედ, მისმინე, ხომ მითხვდი მოადგილეს სამწყობროში?

რამაზი: კი, მაგრამ თქვენ მითხარით, რომ ჯერ არ გამოუცხვიათო.

პოლკის მეთაური: ჰოდა, ახლა გამოგიცხვეს. რამდენიმე ოფიცერი ჩამომივიდა, ერთს შენ გიგზავნი. ჩახვდი?

რამაზი: დიახ, ჩახვდი, ვმადლობთ.

პოლკის მეთაური: აბა შენ იცი, თბილად მიიღე.

რამაზი: რამე ხდება?

პოლკის მეთაური: ჯერ ერთი, შენზე მაღალი წოდებისაა, მეორეც, პირდაპირ „შე-ბე“ (штрафной батальон - მთარგმნ.)-დან მოდის, ფერშტეინ რა ამბავია?

რამაზი: ფერშტეინ.

პოლკის მეთაური: ჰოდა, თუ ფერშტეინ, ჩვენებურად მიიღე კაცი, გვარდიულად.

დიქტორი: ჰოდა, ზის რამაზი მაიორ ტროფიმოვთან ერთად ბლინდაჟში; ყუმბარის ვილ-ზისგან გაკეთებული ლამპა ციმციმებს. გარეთ ღამეა, წვიმაა, ტლაპოა; უკვე სამი ჩარკაა დაღეული და მაგიდაზე, ჯარის პირობაზე რო არა უშავს, ისეთი მისაცოლებელია გაშლილი. მაგრამ საუბარი რაღაც ვერ ეწყობა. ტროფიმოვი მაინდამაინც არაა სალაპარაკოდ განწყობილი, დაღვრემილია და რაღაც უცნაურიც, ყოველ შემთხვევაში, რამაზს ასე მოეჩვენა. ასე გამოიყურებიან ისინი, ვისაც მძიმე განსაცდელი აქვთ გამოვლილი: უბედურება, ავადმყოფობა, მძიმე დანაკარგები. როცა სასმელი გათავდა, უკვე შუალაძე კარგა ხნის ვადასული იყო.

ტროფიმოვი: აი რა, კომბატ, რაკი ჩვენ ერთად მოგვიწევს ომი, მოვიყვები როგორ მოვხვდი შტრაფბატში. იცოდე, მე არც მშიშარა ვყოფილვარ და არც გერმანელებს ვაქცევ ვივარ ოდესმე. ომამდე არქიტექტურულზე ვსწავლობდი ლენინგრადის უნივერსიტეტში. ზედ ომის წინ შევირთე ცოლი. ჩემს ცოლს ლილი ერქვა და პირველი კურსიდან ვიცნობდი. დიდხანს არ მაქცევდა ყურადღებას. უამრავი თაყვანისმცემელი ჰყავდა, მაგრამ მან მე ამომიჩნია. მართლა მიყვარდა და მეჩვენებოდა, რომ მასაც ასევე ვუყვარდი. მაგრამ სამ თვეში დაიწყო ომი, ლილი ავადმყოფ დედამისთან ერთად ევაკუირებული იქნა ლენინგრადიდან; მე კიდევ, მონალისედ წავიდი ფრონტზე... მალე დავიჭერი

მოსკოვთან... ვცადე მომეძებნა ცოლი, მაგრამ ამაოდ. დავამთავრე ოფიცრის კურსები „Выстрел“, და ბოლოს და ბოლოს, ჩემი დის სამუალებით წერილი მივაწვდინე ცოლს. ყაზახეთში ცხოვრობდა, ბიბლიოთეკარად მუშაობდა „სოფხონში“... კურსების მერე ფრონტზე დიდხანს აღარ მომიწია ყოფნა, მეორედ დავიჭერი და ერთოფიანი შეგბულებაც მივიღე. ჩემი და და დედაჩემი ყაზახეთში ცხოვრობდნენ. მამაჩემი ჯერ კიდევ ფინეთში დაიღუპა... ორი დღით ჩავაკითხე და, იქიდან, ბევრი არც მიფიქრია, დავაწევი ლილისკენ ყაზახეთში. „ტროფეინი“ საათი, ბეჭედი და პორტსიგარი გზაში პროდუქტებზე გადავცვალე, რომ ცოლთან ხელცარიელი არ გამოვცხადებულიყავი.

მატარებელი სადგურში ღამის სამ საათზე ჩამოდგა. სადგური პატარა იყო, ხალხით გატენილი; ცხელა, გარეთ წვიმს, ტლაპოა მუხლამდე. რა უნდა ქნა? ვიფიქრე და გადავწყვიტე, რომ დილაამდე ცდას აზრი არ ჰქონდა, შემოვიხვიე „პლამ-პალატკა“, სურგანთა მხარზე და წაფრლახუნდი ცოლთან.

ჩემს ჩამოსვლაზე არ გამიფრთხილებია, სიურპრიზის გაკეთება მინდოდა. დეპეშა რომ გამეგზავნა, იქნებ სულ სხვაგვარად წასულიყო ყველაფერი... ცოლმა ადრევე მომწერა, რომ ცხოვრობს დასახლების ბოლოში, მარცხნიდან მეორე ხატაში... უკვე თენდებოდა, როცა დასახლებას მივალწვი; ვიბოვნი ეგ ხატა, მარცხნიდან მეორე, ავედი პარმაღზე და ფრთხილად დავაკაკუნე კარზე. კარი ღია აღმოჩნდა, ვავიარე ვიწრო წინკარი, და აღმოვჩნდი ნახევრადბნელ ოთახში.. სიჩუმეა, მარტო საათი წიგნიკებს კედელზე. ფარნით მიმოვანათე, ოთახის ცენტრში მაგია იდგა, ვაზშიის ნარჩენებით და დაუცვლელი არყის ბოთლით. სკამზე მილიციონერის პავონებიანი კიტელი კიდა... მეტი რა ხდება? სხვის სახლში ხომ არ მოვხვდი? და უკვე უკან წამოსასვლელად დავიხვიე კიდევ, რომ ტუმბოზე ლილის პორტრეტი შევამჩნიე. ე.ი. არ შემშლია.. ფრთხილად გადავწვი ფარდა საწოლთან და გავშირი: ჩემი ოქროსთმიანი ლილვა ვილაც შავულგაშა ახალგაზრდა კაცთან ჩახვეული იწვა. ორივეს მშვიდად ეძინა.

აღბათ ერთი წუთი მაინც, ან მეტი, ვიდექი გაშეშებული, არაფერზე არ ვფიქრობდი, ჩუმი ვიდექი, მემინოდა, რომ არ ვამეღვიძებინა.

მერე კი ჩემი ხელი თავისით გაცურდა პისტოლეტისკენ და მე, თითქმის პირისპირ, მთელი მჭიდვე მივაცალე ორივეს.

სამხედრო ტრიბუნალმა გამასამართლა, ათი წელი მომცეს, მერე შემიცვალეს ფრონტით და ასე მოვხვდი საჯარო ბატალიონში.

დიქტორი: ტროფიმოვთან ერთად რამაზი სამ თვეს იყო ომში, მამაცი და აზრიანი ოფიცერი იყო, თუმცა ზედმეტად მკაცრი და უხეში. იანვრის შეტევის წინ, დივიზიაში შევსება მოვიდა და ტროფიმოვიც, როგორც ბრძოლებში თავგამოჩენილი, მეზობელ დივიზიაში გადაიყვანეს ბატალიონის მეთაურად... როცა ისინი ბოლოს შეხვდნენ, დანციგთან, ტროფიმოვს უკვე წითელი დროშის და წითელი ვარსკვლავის ორდენები ჰქონდა.

(მუსიკა)

იგულისხმება, რომ ტროფიმოვი, როგორც ჩანს, ომის შემდეგ კოლიმაზე გამოანაწილეს - ბანაკის უფროსად. (მთარგმნ.)

დიქტორი: რამდენიმე დღე ვავიდა. რამაზის ბრიგადა ოქროს საბადოებზე გაანაწილეს და შახტებში დადიოდა. ბრიგადირმა, გაიგო რა, რომ სიმონი ყოფილი ოფიცერი, იგი გამწვევ მემანქანედ (ЛЕБЕГЧИКОМ) გადაიყვანა.

სიმონი გადახურულში იჯდა და შახტიდან მადნით დატვირთულ ვაგონეტებს ლიფტით

ეზიდებოდა. შედარებით იოლი სამუშაოთი რამაზი კმაყოფილი იყო. როგორღაც, სამუშაოს მერე შეიარა გრიშინთან (ბრიგადის უფროსი) და ქიმიური ფანქარი სთხოვა. ბარაკში დაბრუნებული ნარზე აძვრა და ბანაკის უფროსის, მაიორ ტროფიმოვის სახელზე მოკლე განცხადება დაწერა.

რამდენიმე დღე გავიდა, მერე მთელი კვირაც, მაგრამ მის განცხადებაზე პასუხი არ მოსულა.

ერთხელ, როცა უკვე პასუხის მოლოდინიც შეწყვიტა, ღამით ფეხისგულში მკვეთრმა ბიძგმა გააღვიძა.

გუშაგი: რა ნომერი ხარ?

რამაზი: ენ ერთი 911.

გუშაგი: სტატია?

რამაზი: 58, ერთი „ბ“.

გუშაგი: ვადა?

რამაზი: ათი წელი.

გუშაგი: აიკრიფე! (Собирайся с вещами!)

ბრიგადირი (ჩაერია): რა ხდება, მოქალაქე უფროსო? სად მივყავთ?

გუშაგი: შენ მანდ, იწექი და ნუ ფართხალებ! სადაც საჭიროა, იქ მიმყავს.

დიქტორი: რამაზმა სწრაფად ჩაიცვია, წამოგრიფა თაფის მცირე ბარგი და გუშაგს გაედევნა.

გუშაგი აზიელი ტიპის სერჟანტი იყო, სახელად „ჩუქჩა“.

ჩუქჩა: რა ჩააგრიხინე? მთელი ხელმძღვანელობა ფეხზე დგას.

რამაზი: დამნაშავე ვარ, უფროსო, ცოტა გადავაჭარბე ეტყობა.

ჩუქჩა: ოქრო მოქისტე, არა?

რამაზი: გამოიცანი, მოქალაქე უფროსო.


ჩუქჩა: ბლომად?

რამაზი: თითქმის ნახევარი ქილა.

ჩუქჩა: ტუმონკის ქილა?

რამაზი: დიას.

დიქტორი: „ჩუქჩამ“ დაუფარავი ინტერესით შეხედა რამაზს, თითქოსდა მას მართლა უბეში ედო ამხელა განძი.



სასადილოს გაუარეს, აბანოც გვერდზე დატოვეს, და ბანაკის გასასვლელის მოპირდაპირე მხარისკენ დაიდრნენ, სადაც საყარაულო კოშკის აკრძალულ სივრცეში, განთავსებული იყო მოღუშული, ცინის მსგავსი გაძლიერებული რეჟიმის ბარაკი. „ახლა კი, ვამაგრდიი!“ - გაიფიქრა რამაზმა. მან ძალიან კარგად იცოდა, რომ ასეთ ადგილებში ზეკები უბრალოდ არ დაყავდათ... „ჩუქჩა“ უხეშ საფეხურებზე ავიდა და გასაღებების შეკვრით დააკაკუნა კარში გამოჭ-

რილ ფანჯარაზე. ფანჯარა გაიღო და გამოჩნდა მორიგე გუშაგის სახე.
მორიგე გუშაგი: მოიყვანე?

ჩუქჩა: მოვიყვანე.

მორიგე გუშაგი: ახლავე გაგიღებ... შემოდი, იქ არიან, სამორიგეოში

დიქტორი: წინ მქრქალად ანათებდა ჭუჭყიანი ნათურა. მათ გაიარეს კორიდორი და მარცხნივ შეუხვიეს. რამაზმა სამი ოფიცერი დაინახა. ახლოს რომ მივიდნენ, მაშინვე იცნო ტროფიმოვი. ის იდგა, ჰაპიროსით კბილებში, ოფიცრის კეპი წარბებამდე ჩამოეფხატა.

ჩუქჩა: ამხანაგო მაიორო, თქვენი ბრძანებით...

ტროფიმოვი: აქეთ მოიყვანე.

დიქტორი: „მაიორო, მაიორო - გაიფიქრა რამაზმა, არ ველოდი ასეთ შეხვედრას!“, სინანულით გაიფიქრა რამაზმა. „მარტო შეხვედრისაც კი შეეშინდა, მოწმეების გარეშე საუბრისა. ეგეც შენი ფრონტის მეგობარი!“

ტროფიმოვი: ახლოს მოიწი!

დიქტორი: რამაზი გამეშუბული იდგა, ხელებდაშეგებული, თითქოს ვერც გაიგო ბრძანება.

ტროფიმოვი: შენ რა, დაყრუვდი?

დიქტორი: „ჩუქჩამ“ უხეშად ჰკრა ხელი რამაზს გვერდში და მან უხერხულად გადადგა წინ მოკლე ნაბიჯი. ერთმა ოფიცერმა „ჩუქჩას“ რაღაც ჩაუჩურჩულა და მან, თავი დააქნია და გასასვლელისკენ წავიდა. სიჩუმე ჩამოვარდა. ამჯერად რამაზმა უკეთ შეათვალიერა... ამ წლების განმავლობაში მართლაც გამოცვლილიყო. გამსხვილდა, დაკარგა ძველი ფიგურა, საფეთქლებიც შეუჭკაღარავდა და უფრო მკაცრი გაუხდა მოლუშული სახე. რამაზმა ვერ გაუძლო მის მზერას და თავი დახარა. და აქ გაისმა გაუგებარი ბრძანება:

ტროფიმოვი: ქუდი!

დიქტორი: რამაზი ვერ მიხვდა, რას ითხოვდნენ მისგან და არ განძრეულა. მერე კი მოხდა საერთოდ მოულოდნელი რამ. კედელზე გასულ ჩრდილზე რამაზმა დაინახა, თუ როგორ ასწია ტროფიმოვმა ხელი. რამაზი მოიბუნა დარტყმის მოლოდინში, მაგრამ მან იგრძნო, რომ მხოლოდ ქუდი მოადრეს... „ამაცილა“ - გაეხარდა ოდნავ, რამაზი გაიმართა და აქ ახალი ბრძანებაც გაისმა

ტროფიმოვი: ზურგისა-კენ!

დიქტორი: რამაზს კარგა ხნის დავიწყებული ჰქონდა ეს ბრძანება, მაგრამ ძალაუნებურად სამხედრო წესით მოაბრუნა ქუსლები და შემობრუნდა მარცხნივ. მაიორმა ტროფიმოვმა ხელი გაიწვდინა და მკვეთრი მოძრაობით, რაღაც ზიზღით ჩამოგლიჯა რამაზს ბუმლატზე მიკერებული ბანაკის ნომერი და ძირს დააგდო. რამაზმა დაინახა იატაკზე თავისი ყურებიანი ქუდი, რომელზეც ტროფიმოვს აგრეთვე მოეგლიჯა ნომერი.

რამაზმა იგრძნო, რომ უცებ თავისუფლად დაიწყო სუნთქვა, თითქოს მძიმე ტვირთი ჩამოეგარდა ზურგიდან. ყველა-ყველა და, ასეთ რამეს არ ელოდა. იდგა გამართული, თითქოს „სმინაზე“ გაჭიმული, და გრძნობდა, რომ თვალეზზე აწვებოდა ცრემლები და ვერ იკავებდა.

ტროფიმოვი: მოკლედ! ამასთან - აი, ამ კაპიტანთან ერთად, ერთ დივიზიაში ვიბრძოდი. ვიცი ერთი რამ: ის პატიოსნად ემსახურებოდა სამშობლოს და არასოდეს მისთვის არ უღალატია. რაც დაამავა - მან ჩვენზე უკეთ იცის. ყველა სასჯელი არაა სამართლიანი. შეიძლება იგი მართლაც შეცდა, შეუცდომელი ვინაა? მაგრამ მიუხედავად ყველაფრისა, სანამ მე ვარ ამ ბანაკის უფროსი, ჩემს თავზე ვიღებ მთელ ჰასუნისმ-

გებლობას. მე ამის უფლება მაქვს... მორიგე! ამწუთმივე წაიყვანე სამზარეულოში და აჭაძე როგორც საჭიროა.! მერე ნაბიჯით იარ აბანოში და გამოუყავით ახალი მუნდირი. დანარჩენი... დანარჩენი - მერე. გასაგებია?

მორიგე: გასაგებია, ამხანაგო მაიორო.

ტროფიმოვი: ჰოდა, შეასრულეთ!

დიქტორი: ამ ამბების მერე რამაზის ცხოვრებაში მნიშვნელოვანი არაფერი მომხდარა.

ვრიშინის რჩევით, მან ითხოვა, რომ იგი დასახლების კლუბში მხატვრად დაენიშნათ. ასე გაატარა მან კოლიმაზე პირველი სამი წელი. ჰელენასგან წერილები აღარ მიუღია, რადგან აღდანისგან განსხვავებით, აქ ნეიდორფი აღარ ჰყავდა და ის ბედნიერი შემთხვევაც აღარ განმეორებულა. აღდანის მსგავსად, მცირე ფულს შოულობდა ნატვით და შესანიშნავად გაიწაფა ხელი მოთხოვნად საქონელზე: კედელზე დასაკიდ სურათებიანი „ხალიჩების“ ნატვავზე ეგზოტიკური ზეინაუებით, გედებით, „ბესედეებით“ და ნახევრადმიშველი ლამაზმანებით. ბარაკში მას პატივისცემით ეპყრობოდნენ, რაკი არასოდეს ქუნწობდა და სხვებსაც გულუხვად უმასპინძლებოდა ყველაფრით, რასაც კი შოულობდა და ზონაში მოჰქონდა“.

გადასახლების პერიოდიდან კიდევ არაერთი საინტერესო ეპიზოდი აქვს აღწერილი, თუმცა მთავარი მაინც ის შემართებაა, რითაც სიმონ კილაძე უძლებდა გარემოს და იბრძოდა საკუთარი ფიზიკური, სულიერი და ინტელექტუალური გადარჩენისთვისაც. ბრძოლაა, აბა მამ რაა, ის „ღევ ტოლსტოის“ ყდაში ჩასმული წიგნაკი, სადაც, სხვა ყველაფერს რომ თავი დავანებოთ, ხელოვნების ტერმინოლოგიის ლექსიკონიც კი ჰქონდა თავისთვის შედგენილი:

ასო „А“:



- Антипод – люди с разн. взгляд. ;
- Антропид – головокробрю обезьяна;
- Аполлогет – защитник реакции;
- Аполлогия – восхваление;
- Артемида – богиня охоты, дочь Зевса, сестра Аполлона;

Архаический – устаревший (слово);

Аутодафе – оглашение и приведение в исполнении приговора у инквизиторов;

ასო „Б“:

- Барокко – конец XVI в. пышность, вычурность;
- Барраж – загромождение в воздухе;
- Бахус - Бог вина и веселья;
- Биопсия – микр. исл. ткани (отсечение);
- Буколика – жанр. арт. поез. изображ. пастуш. жизнь;
- Буриме - стих. на зад. рифму;
- Бурлеск – преувелич. комич. изобр;
- Бонтон - хор. тон (воспитательный) ;
- Бельфам – полная, видная женщина



ბამბინო - мальчик

Билье ду - любовные записки

Буриданов осёл – Бур(летическое) ср(авнение) вех. фил(ософов) схоласт(иков) предпол(агающий) св(ойство) прот. решить так(ую). задачу: как осёл одна(ково). муч(ающий). жаждой и голодом если ему пост(авить). с разн(ых). сторон на ровн(ом). расст(ояний). овёс и ведро воды; Б.О. прим. к нереш(ительному). чел(овеку). кот(орый). не знает что выбрать ;

Буцефал – неукратим. конь Ал. Македонск;

Бриарей – сторукий великан чудовищ. силы (или Эгеон);

Billet doux - любовная записка (ფრ.)

Бреве (ფრ) – Грамота, указ;

Бель-ома (ფრ.) - толстяк;

...

და ასე შემდეგ - თითქმის მთელი რუსულენოვანი ალფავიტის ასოებზე ჩამოთვლილი სავნები, იდიომები თუ ტერმინები. ამ იმპროვიზებული ლექსიკონის გაცნობითაც კი ნათელი აღსაქმელი ხდება ცოდნის ის დიაპაზონი, ინტერესთა სფეროს მრავალფეროვნება და სიღრმე, რომელიც სიმონ კილაძემ საკუთარი ინტელექტით გადაარჩინა და არამართო შეინარჩუნა, არამედ მძიმე ცხოვრებისეული გამოცდილებით გაამდიდრა და ამგვარად „შეიარაღებული“ შეხვდა საკუთარი ცხოვრების ახალ ეტაპს, რომელსაც იგი დიდი იმედითა და შინაგანი ოპტიმიზმით ელოდა.

განსაკუთრებით საყურადღებოა ამ ბლოგნოტის ერთი გვერდი - „დავიწყებული სიტყვები“ - სადაც ქართული სიტყვებია, მშობლიურ სიტყვებს ისხენებდა და ალბათ იმეორებდა ხოლმე. მაგალითად:

ექთანო - სანიტარი?;

ბაგე - პირი;

ფონი - ადგილი მდინ. გას. ფენით;

ზამბარა - პრუჟინა;

პირმშო - პირველად შეძენილი შვილი;

გობანი - მატრაცია;

მელოტი - თმა ამოვარდნილი;

ქეჩო - Затылок;

მაგრად გაჯორა - გაუწყრა;

ხატ-რჯულს გეფიცები;

ემბაზი - ჭურჭელი (ტაშტი), რომელშიც ნათლავენ ბავშვებს;

ქურდბაცაცა - მელა;


და იქვეა მინაწერი:







„ვისაც თავისი სამშობლო არ უყვარს, არ შეუსწავლია, და არ ითვალისწინებს, ის კაცი არ არის. აკაკი“ (წარწერა საქართველოს ისტორიის სახელმძღვანელოზე);


ფფიქრობ - აქ ყოველგვარი კომენტარი ზედმეტია....

გადავხედოთ სხვა გვერდებსაც:

მისი ინტერესები მხოლოდ ფერწერით და ლიტერატურით არ ამოიწურება. მის არქივში არის სქელი რვეული მინაწერით: „Это моя «Калымская Академия 1952 г“









და რა არის ამ „აკადემიის“ რვეულში?

წიგნების და სახელმძღვანელოების ჩამონათვალი მხატვრებისთვის, ანატომიის, პერსპექტივის და ფერის თეორიის სფეროდან, რომელიც მოუხერხებია და წაუკითხავს, შეუსწავლია და ამოუკონსპექტებია კიდევ. დიან, უკვე აღარ არის გასაკვირი ის კულტურა, მხატვრული გემოვნება და ინტელექტი, რითაც, უკვე როგორც ფოტომხატვარი, რამდენიმე წლის შემდეგ მიიქცევეს საზოგადოების ყურადღებას.

ვფიქრობ, ამ რვეულის საფუძვლიანი გამოფერვა, თარგმნა და ცალკე გამოცემა მნიშვნელოვანი დამხმარე სახელმძღვანელო იქნებოდა სამხატვრო აკადემიისა და ფოტო თუ კინოგადაღების შემსწავლელი უმაღლესი სასწავლებლების სტუდენტებისათვის.

სიმონ კილაძე პატიმრობიდან 1954 წელს გაათავისუფლეს - სანიმუშო დისციპლინისთვის და ალბათ, უფრო მეტად, სტალინის ვარდაცვალების გამო, მაგრამ სსრ კავშირის დედაქალაქებში ცხოვრების უფლების გარეშე; ამიტომ იგი ჯერ გაგრანში ჩავიდა, სადაც მისი დის ოჯახი ცხოვრობდა. ჯერ მღებავის სამუშაო მოიპოვა, მერე კი თეატრის მხატვრობაში ვულავის გამოცდილება გამოიყენა და ერთხანს გაგრის თეატრის მხატვრად იმუშავა: მის პირად არქივში შემონახულია გაგრის თეატრში 1955 წელს, აკაკი წერეთლის პიესის მიხედვით დადგმული სპექტაკლის „პატარა კახი“ პროგრამა, სადაც სიმონ კილაძე დადგმის მხატვრადაა მოხსენიებული.



„მაღლე დაიწყო სტალინის პერიოდში „ხალხის მტრებად“ მონათლოელი რეპრესირებულების რეაბილიტაცია. მამის რეაბილიტაციის შემდეგ კილაძეების ცხოვრება შესამჩნევად გაიოლდა, გაჩნდა რაღაც იმედები... ერთი წელი კიდევ იმუშავა გაგრის კულტურის სახლის მხატვრად. მერე კი მისმა დამ თბილისში მიიღო ერთოთახიანი ბინა და რამაზიც (იგულისხმება - სიმონიც) იქ გადავიდა, პრესაში მუშაობა მას ჯერჯერობით ეკრძალებოდა, ამიტომ მხატვრად დაიწყო მუშაობა სარეკლამო ბიუროში და

კარგ შემოსავალსაც იღებდა გაფორმებებისათვის...“⁶

როგორც თავად წერს, სიმონს არ შეუწყვეტია დაკარგული ცოლ-შვილის ძებნა. რამდენჯერმე კიდევ მისწერა ბოლონეთში, მაგრამ მათ შესახებ ახალი ვერაფერი შეიტყო. მას უბასუხეს, ბოჟენა ავტოაგარიაში დაიღუბა, ბავშვი კი დედის ნათესავებმა წაიყვანეს უცნობი მიმართულებით, და თუ რაიმე ახალს გაიგებდნენ, მაშინვე შეატყობინებდნენ, - ასე წერდა ბოჟენას დეიდა.... სიმონს მოლოდინის მეტი არაფერი დარჩენოდა, თუმცა გულის სიღრმეში ბოლომდე მაინც არ სჯეროდა ეს ყოველივე, რაღაც მაინც ეეჭვებოდა. და როგორც შემდგომში გამოირკვა, არც თუ ტყუილად.

მაგრამ ამ დრომდე ლოდინის მრავალი წელი და ცნობრებისეული ცვლილებებია გასავლელი.

ერთხელაც, სამხედრო პროკურატურაში გამოიძახეს. მართალია, სულ ცოტა ხნის წინ უარი უთხრეს მისი „სამშობლოს ღალატის“ საქმის გადახედვას, მაგრამ მაინც მივიდა. აღმოჩნდა, რომ მოსკოველი სამხედრო პროკურორი სპეციალურად ჩამოვიდა მის საქმეში დეტალების დასაზუსტებლად, თანაც ახარა, რომ საქმის გადახედვის შემდეგ, მისი რეაბილიტაციის საკითხი, ძირითადად, დადებითად იყო გადაწყვეტილი.

როგორც გამოირკვა, სიმონის საკითხით მთავარი სამხედრო პროკურორის მოადგილე დაინტერესებულა, რომელიც მისი ნაცნობი ყოფილა - ვინმე ლინჩაროვი (პიოტრ ივანოვიჩი), რომელთანაც ერთად მოსკოვში, გადასახლებაამდე ერთ სახლში უცნობრია (მეორე ტროიკის შესახვევში, სამოტეკზე - ესეც კიდევ ერთი ბედნიერი შემთხვევა)... ბავშვობის მეგობარს მისი ქართული გვარისთვის მიუქცევია ყურადღება და დაწვრილებით გამოუძიებია მისი საქმე. პეტროვი, ან ივანოვი რომ ყოფილიყო, ალბათ თვალში არც მონგდებოდაო, წერს სიმონ კილაძე და ამ ამბავსაც იმ დიდ გამართლებად აღგვიწერს, ცნობრებაში ძალიან იშვიათად რომ ხდება.

ამდენად, რეაბილიტაციაც მიიღო, და მიიღო პრესაში მუშაობის უფლებაც... მერე კი ერთი ძველი ნაცნობი დაეხმარა და უშტატო კორესპონდენტად დაიწყო მუშაობა გაზეთში „Вечерний Тбилиси“, რომელიც იმ დროს ხელახლა გამოვიდა. წერდა მცირე ინფორმაციებს სპორტის, კულტურისა და ხელოვნების სფეროდან, და თავისივე ფოტოებით ასურათებდა... წერა არ უჭირდა, ფოტოგრაფია კი მისთვის ახალი საქმე იყო. სიმონი ფოტოსაქ-



⁶ ნაწყვეტი სიმონ კილაძის რადიოპიესიდან „რეპორტიორის ბედი“.



Миниатюры Нелли Окропиридзе

Имя одаренного скульптора и автора забавных рассказов и рисунков для детей Н. Окропиридзе хорошо известно работникам литературы и искусства нашей республики.

В последнее время она занимается своеобразным жанром прикладного искусства, созданным ее творческой фантазией. Используются жемчуг, орехи, «языки» шипши, грибы, мох и древесную кору. Окропиридзе мастерски создает из этого необычного для художника материала характерные по манере оригинальные миниатюры.


Среди работ Н. Окропиридзе преобладающее большинство на национальные мотивы. Можно долго и с увлечением рассматривать миниатюры «Продавец паны», «Грузинский танец», «Жадостливый хоилин», «Рыболов», «Разбойник Камо», многофигурные композиции «Муха-пчелка», «Стрекоза и муравей», а также целый ряд маленьких жанровых миниатюр на жизни животных, птиц и насекомых.

В настоящее время художница занимается композиционной миниатюрой «Свадьба жемчужей», изображающую сцену грузинской свадьбы. В живописном саду, на дужаке происходит свадебное торжество жемчужей - человечков. Тут и там с поднятым огромным рогом, и новобрачные, и многочисленные гости, и танцующие, и музыканты.

Все композиции смонтированы на куске древесной коры и может уместиться на небольшом бло-

ке. Детали миниатюры выполнены из жемчуга, стеблей растений, мха, семян и цветов.

В начале апреля нынешнего года Союз художников организовал выставку работ этой своеобразной художницы. Тбилисцы увидят около 100 разных миниатюр Н. Окропиридзе, а также ее неравносильные изделия и художественную аппликацию на темы детских снагов.



На снимках: Н. Окропиридзе работает над миниатюрой «Морское дно» (слева); внизу — миниатюра «Аисты».

Фото и текст С. Киладзе.

«Витязь в тигровой шкуре» на сцене краковского театра

Недавно Краковский рапсодический театр впервые в Европе осуществил театральную постановку бессмертной поэмы Шота Руставели «Витязь в тигровой шкуре».

Рапсодический театр — это театр живого слова и поэзии, который, по словам его основателя и руководителя Мечислава Котлярчика, выдвигает на первое место поэтический текст, подчиняя ему все остальные театральные средства: декоративное и музыкальное оформление, хореографию. Основная цель театра — популяризация и театрализация лучших образцов мировой поэзии.

В 1948 году Рапсодический театр осуществил постановку «Евгения Онегина» А. С. Пушкина. На эту сцене с успехом шли «Дон-Жуан» Байрона, «Одиссея» Гомера.

Идея постановки поэмы Шота Руставели возникла в театре в 1951 году, однако осуществить ее удалось только 9 лет спустя.

— Мы осуществили постановку «Витязя в тигровой шкуре», — рассказывает директор театра Рихард Стеховский. — в театрализованном переводе писателя Ежи Загорского, который сумел донести до польского зрителя поэтический гений поэта грузинской поэзии Шота Руставели, великий гуманизм, светлую любовь и дружбу героев его бессмертной поэмы.

Спектакль своеобразно оформил художник Марьян Гарлики, а в музыкальном оформлении использованы произведения А. Хачатуряна и С. Цинцадзе.

— Коллектив Рапсодического театра был очень рад, — сказал Р. Стеховский, — если бы ему удалось показать свою постановку «Витязя в тигровой шкуре» грузинскому зрителю.

С. КИЛАДЗЕ.

მემ სერიოზულად გაიტაცა და მოკლე ხანში ათიფისა დამწყები რეპორტიორისთვის საჭირო ყველა თეორიული და პრაქტიკული უნარ-ჩვევა.

39 წლისა, პრაქტიკულად, ნულიდან იწყებს ცხოვრებას და ჟურნალისტიკაში პირველ ნაბიჯებს დგამს. წერს, მაგალითად, იმაზე, რომ კინოსტუდიაში „ქართული ფილმი“ დაიწყო გადაღებები მხატვრული ფილმისა „მაია წყნეთელი“, ანდა - იმაზე, რომ კრაკოვის სცენაზე ე.წ. „რაფსოდიულ თეატრს“ დაუდგამს შოთა რუსთაველის უკვდავი პოემა, რომელიც მწერალ ეუი სტეპოვსკის უთარგმნია და თეატრის დირექტორს, რიჰარდ სტეპოვსკის დაუდგამს, გაუფორმებია მარიან ვარლიცკის და მუსიკალური გაფორმებისთვის გამოუყენებიათ არამ ხაჩატურიანის და სულხან ცინცაძის ნამუშევრები... და რომ რიჰარდ სტეპოვსკი ოცნებობს დადგმის ჩვენებას ქართველი მაყურებლისათვის.. და ა.შ.

კიდევ რა თემები აინტერესებს სიმონ კილაძეს თავისი ჟურნალისტური კარიერის დასაწყისში? აი, მაგალითად:

გაზეთი «Вечерний Тбилиси», 1959 წლის 4 მარტი,

ანდა გაზეთი «Кутаисская Правда» 1961 წლის 9 დეკემბერი:

სტატია - „ძველი კოლხეთის საგანძური“.

მისი ფოტოსურათები სულ უფრო ხშირად იბეჭდება არამარტო ქართულ, არამედ ე.წ. „საკავშირო“ პრესაში.

СУББОТНЯЯ СТРАНИЦА

Сокровища древней Колхиды

Знаете ли вы, что...

В колхидском музее хранятся уникальные находки древней Колхиды. Среди них — древние монеты, украшения, орудия труда и предметы быта. Эти находки позволяют исследователям узнать много нового об истории и культуре древней Колхиды.

В настоящее время в музее проходит выставка, посвященная этим находкам. Выставка будет открыта до конца лета. Приглашаем всех желающих ознакомиться с этими уникальными находками.

Музей древней Колхиды, Тбилиси.

1960-იანი წლების დასაწყისიდან კი მთელ საბჭოთა კავშირში ყველაზე წარმატებულ ფოტოკორესპონდენტებს შორის უკვე სიმონ კილაძე მყარად იხსენიება.

1964 წელს მან ჩამოაყალიბა ფოტოკლუბი „საქართველო“, რომელშიც გაერთიანდა საქართველოს პროფესიონალი და „თავისუფალი“ ფოტოგრაფების რჩეული ნაწილი. ფოტოკლუბმა რამდენიმე გამოფენა მოაწყო ჯერ თბილისში, მერე - ე.წ. „საკავშირო გამოფენები“ - და ბოლოს - საზღვარგარეთ. იმდროინდელ საბჭოთა კავშირში მხატვრული ფოტოგრაფიის სულ რამდენიმე გამორჩეული ადგილი იყო, რომელსაც ფოტოხელოვნების სფეროში დაკავებული ადამიანებისთვის ინტელექტუალური ცენტრების პრეტენზია ჰქონდათ: მოსკოვში, ლენინგრადში, ლიტვაში და ახლა უკვე საქართველოშიც.



Симон Киладзе, СССР / Пери Брэн (1972)



Симон Киладзе, СССР / Вольфшик (1966)



Симон Киладзе, СССР / Михаил старин Ткачев (1971)





Симон Киладзе, СССР / Соколов и Гиния (1974)

სიმონ კილაძის ფოტოები გამოირჩევა არამარტო ფაქტობრივი მასალის ვადმოცემით, არამედ მხატვრული ალიტერაციებითაც, რომელსაც „პოეტური რეალიზმი“ შეიძლება ვუწოდოთ. განსაკუთრებული გემოვნებით მუშაობს მაღალკონტრასტულ გრაფიკასა და ფერში, არ ერიდება ექსპერიმენტებს, აქვს ნამუშევრები ფოტობარელიეფები, სოლარიზაცია და ა.შ.; მის ნამუშევრებს ხელოვნებათმცოდნე ჟურნალისტები ძალიან მაღალ შეფასებებს აძლევენ. სიმონ კილაძის ფოტოსურათები, ისევე როგორც ფოტოკლუბ „საქართველოს“ სხვა წევრებისა, საერთაშორისო ფოტოკატალოგებში სვდება.

ფოტოკლუბის შესახებ იწერება სტატიები. პირადად მის შესახებაც არაერთი პუბლიკაციაა დაბეჭდილი.

ჟურნალის „საბჭოთა ხელოვნება“ კორესპონდენტი ალექსანდრე ბალაბუევი, რომელიც, სწორედ წერს სწორედ ფოტოგრაფიაზე, თავის სტატიაში სიმონ კილაძეზე ამბობს: „საჭიროა მახვილი ხედვა, მთავარის დანახვა, რასაც სხვები ვერ შენიშნავენ, და მხატვრული ემოციური აღქმის პრიზმაში ვატარება. სწრაფად უნდა აავო კომპოზიცია, ადვილე-



საფრანგეთი - საქართველო.

იუგოსლავია - საქართველო.



ინგლისი - საქართველო და კიდევ სხვები.

ბი მიუჩინო სახეებს, ფიგურებს, გაავლო ხაზები, შრისები...“⁷; ეს ყოველივე, ცხადია, ფოტოგრაფის შემოქმედებითი პროცესის აღწერაა, მაგრამ თვით შემოქმედება ისევე არ ექვემდებარება აღწერას, როგორც ხელოვნების ნებისმიერი ნიმუშის შექმნა.

ცნობილი ფოტოგრაფი და ფოტოგრაფიის თეორეტიკოსი ლ.ფ. ვოლგოვ-ლანიტი, 1967 წელს გამომშვებულ სახელმძღვანელოში «Искусство Фотопортрета» ათავსებს სიმონ კილაძის ერთ-ერთ ცნობილ ფოტოს „როგორც 100 წლის წინ“ და წერს მის ღირსებებზე.

ფოტოგალები „საქართველო“ აწყობს ერთობლივ საერთაშორისო გამოფენებსაც.

სიმონ კილაძეს ხელოვნების დამსახურებული მოღვაწის წოდება ენიჭება. თანამშრომლობს ტელევიზიასთანაც. „ტელეუთეატრი“ მისთვის კიდევ ერთი ინტერესია. მისი გადაღებული ფოტოგრაფიული ეპიზოდი ტელესპექტაკლში „ეს არ უნდა მომხდარიყო“ - დღემდე ახსოვთ. ამ ფოტოებზე შემორჩენილია მსახიობების - ვია მატარაძის, ვია ფერაძის, დათო კვიციანიასა და გურამ გოვაგას სახეები.

სატელევიზიო ფილმების სტუდიაში: ლევანდარული რეჟისორი სოსო ჩხაიძე მას თავის ფილმში „შვიდაცა“ - კინოოპერატორის როლზე იწვევს...

და აქ კიდევ ერთი სასწაული ხდება მის ცხოვრებაში:

პოლონეთში, ქალაქ გრუძონცში მოეწყო ფოტოგამოფენა, სადაც სიმონის ფოტოებიც იყო წარმოდგენილი. ერთ-ერთმა დამთვალიერებელმა სიმონ კილაძე მოივითხა. აღმოჩნდა, რომ ის იცნობდა ვინმე სიმონ (საიმონ) კილაძეს, ოღონდ უფრო ახალგაზრდას და თანაც პოლონელს - პოლონელ სიმონ კილაძეს...

ასე შემთხვევით იპოვნა მან 1946 წელს დაკარგული თავისი ცოლი და შვილი, რომელსაც თურმე დედამისმა, ბოჟენამ, დაკარგული მამის სახელი დაარქვა... აქამდე ხომ სიმონის ყველა მცდელობა, მოეძებნა თავისი პირველი ოჯახი, უშედეგოდ მთავრდებოდა,



⁷ ბალაბუევი ა., სიმონ კილაძე, ჟურნ. „საბჭოთა ხელოვნება“, #7, 1975. გვ. 71-72.



აღმოჩნდა, რომ უმცროსი სიმონ (საიმონ) კილაძე, დედასთან ერთად, კარგა ხანია გადასახლებულიყო კანადაში...

უფროს სიმონსაც უკვე სხვა მეუღლე ჰყავდა თბილისში - შესანიშნავი ქალბატონი თინა ლუჟავა..

მაგრამ ამ ეტაპზე ვამთავრებ კვლევის პირველ ნაწილს სიმონ კილაძის ცხოვრებისა და შემოქმედების შესახებ. მომდევნო ნაწილი - არანაკლებ საინტერესოა.

გამოყენებული ლიტერატურა:

1. კილაძე ს., ეს მოხდა კოლიმაზე. ჟურნ. „დროშა“, #5, 1989.
2. ბალაბუევი ა., სიმონ კილაძე, ჟურნ. „საბჭოთა ხელოვნება“, #7, 1975.
3. გზ. «Вечерний Тбилиси», 04.03. 1959.
4. გზ. «Кутаисская Правда», 09.12. 1961.
5. Волков-Ланнит Л.Ф., Искусство Фотопортрета, Москва, 1967.
6. Мешхи И. В камере и с камерой // Боль и память / сост.: Б. С. Бурков, В. А. Мякушков. – М.: Республика, 1993. (<https://vgulage.name/books/kiladze-s-d-avtor-meshi-i-v-kamere-i-s-kameroj/>) / <https://vgulage.name/authors/kiladze-semen/>

SIMON KILADZE – BIOGRAPHY AND AUTOBIOGRAPHY

Summary

A quarter of a century has passed since the death of Simon Kiladze. Shortly before his death—at our last meeting—he gave me a small part of his archive and said with his usual intelligent modesty: “Keep it with you, look at it; if you think it necessary, we will consider what to do with it...”.

This happened in October 1997. In February 1998, Simon Kiladze died. The folders containing the typewritten version of his autobiographical novel, the brochures from the international exhibitions of the Georgia Photo Club, the notebook and the journal in which he recorded technical and artistic matters, were kept by me for so long as a duty “waiting for its time.”

I think that time has come.

In the 1990s, Georgian photography society was not indifferent; a multi-year enforced moratorium on exhibitions was in effect, and individual master photographers were struggling to survive. Today, Georgian photography is experiencing a renaissance: new genres, new names, and new faces emerge almost daily, and various local and international photo exhibitions are constantly being organized. The passion for photography has become widespread and publicly accessible since the advent of mobile phone cameras. Therefore, I consider it very important that the current generation learns about the masters of this technical art, the conditions under which they had to work, and their personal qualities. Simon Kiladze, in particular, can rightfully be called a "knight of the lens"—not only because of his professionalism but also because of his personality.

Engaging with Simon Kiladze's work is both necessary and timely, as there are still people in our community who knew him personally.

Simon Kiladze was born in 1916 in the Russian provincial town of Eisk, where his father, David Kiladze, had been exiled for revolutionary activities. There, he married the daughter of a local priest, and Simon was born. After the revolution, they came to Georgia. In 1926, Simon's mother died of an illness; His father was transferred to Moscow, where he worked as an engineer; Simon himself studied at the Moscow Pravda Journalism University. In 1937, David was arrested and shot, Simon was expelled from the university and exiled to Tashkent with his sister.

In 1941, he volunteered for the front and rose to the rank of captain during the war. After the war, in 1946, his unit was stationed in the Polish town of Grudzonc. There, Simon met the orphan Bozhena Czerwinska, whom he fell in love with and married. They had a son. Three days after his son's birth, Captain Simon Kiladze was arrested: it turned out that Bozhena's aunt and her husband had been found in the western occupation zone of Germany and had invited Bozhena and Simon to join them. Simon, too, was denied his father's presumption of innocence; he was sentenced to ten years in prison and deported to the Gulag. "To travel..."

He was released in 1954 but had no right to live in the major cities of the USSR; therefore, he initially began working in Gagra, where his sister's family lived. Even as a child, he had a passion for drawing and worked as an artist at the Gagra Theater. After his father's rehabilitation, his sister received a one-room apartment in Tbilisi, and Simon was allowed to work in the press. He studied photography professionally: at the age of 39, he picked up a camera and found his calling, for by the early 1960s, Simon Kiladze was already among the Soviet Union's most successful photojournalists.

In 1964, he founded the "Georgia" Photo Club, which united a select group of professional and freelance photographers from Georgia. The club organized several exhibitions, initially in Tbilisi, then the so-called "Union Exhibitions," and eventually abroad. In the Soviet Union at that time, there were only a few significant centers for artistic photography that claimed to be intellectual hubs for photographers: in Moscow, Leningrad, Lithuania, and now Georgia. Alongside his work in journalism,

Simon Kiladze worked successfully as an artistic photographer in the 1980s, collaborating with the editorial departments of Georgian Radio and Television - the "Television Theater" and the "Literary Theater." We recently discovered a photo series for the television play "This Should Not Have Happened" (first broadcast) and the radio play "From the Biography of a Reporter," a dramatization of his autobiography. The radio play recording features the voices of Rezo Chkhikvishvili, Ketevan Gegeshidze, Tariel Sakvarelidze, Gogi Gegchkori, Nino Chkheidze, Tinatin Elbakidze, Marlen Egutia, Soso Lagidze, and Dato Uplisashvili.

Simon Kiladze's face has also been immortalized on film: In Soso Chkhaidze's multi-part television film "Seven Men" (unfinished, Georgian Television Film Studio), he played one of the important roles of a cameraman...

At his personal photo exhibition in Poland, a miracle occurred: A visitor approached Simon Kiladze. It turned out that he knew a certain Simon Kiladze, only younger and Polish – the Polish Simon Kiladze... Thus, by chance, he found his wife and child again, who had disappeared in 1946 and after whom his mother had named her missing father...

Here ends the first part of our research, which traces the life of Simon Kiladze and is based on the author's account of his experiences, beginning with his arrest in 1946; his time in the Gulag; his return to Georgia, The reunion with his long-lost son and his first wife, as well as a series of other events, are described by Simon Kiladze in his two-part autobiographical novel "The Fate of a Reporter." The next phase of his life is described in the novel "Encounter at Niagara" (which we will discuss in the second part of this study), written in laconic and beautiful language, but in Russian.

Therefore, it is necessary to continue research to track down and discover the works of Simon Kiladze scattered among the population - in families, private collections, and archives - in order to rediscover Simon Kiladze in Georgia.